



საქართველოს და სამეცნიერო ნახაბებიანი გაზეთი. გამოდის ყოველ კვირა დღეს.

№ 6

შ ე ნ ი შ ვ ნ ა, 4 1896 წ.

№ 6

შინაარსი: შენიშვნა, აკაკისა. — სხვა-და-სხვა ამბები. — საყურადღებო ამბები. — მე-XVIII საუკ. გეოგრაფიული ცნობანი საქართველოს შესახებ, ა. ხანანაშვილისა. — სხვა-და-სხვა გვარი სატანჯველი და სასჯელი აარღები. — გვირიდან კვირამდე, გრ. ოლიძისა. — ეშმაკის წყარო, თ. რაზიკაშვილისა. — ქალები არიან დამნაშავენი თუ კაცები? ჩხოკეთელისა. — სტოქჰოლმის ძლიერება (წყალ-დიდობის მოგონება) ვ. მასხელიასა. — ძველი ღმერთი (გაგრძელება), მღვდ. გვარამაძისა. — განცხადებანი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.



ვერის“ № 7 დაბეჭდილია „ქართველთა ამხანაგობის წარმომადგენელის“ წერილი „კეალის“ რედაქტორთან, სადაც ორგანა ვარ მოსხენებული რისხვით. პირველი: „ამაში კი დარწმუნებული ვახლავართ, რომ „კეალის“ თანამშრომელთა ენაზე უკადრისი ანდაზებიც ბევრია და სიტყვებიცო“. „კუკასა შინა რაცა სდვას, იგივე წარმოსდინდებაო“. აი, რასა ბრძანებს და რა ზრდილობიანათ ამკობს „ამხანაგობის წარმომადგენელი“ საერთოთ „კეალის“ თანამშრომლებს და მათ რიცხვში, რასაკვირველია, მეც, როგორც ერთ თანამშრომელთაგანს. არ ვიცი, სხვა თანამშრომლები რას ფიქრობენ, მაგრამ მე კი მადლობის მეტი არა მეთქმის-რა ჭკუნის სწავლებისათვის: რომელიმე ქართულ გამოცემაში მონაწილეობის მიღება და „თანამშრომლობა“ ასეთი რამ ბიწიერება თურმე, რომ უმსაძღვებელი ყოფილა, ყოვლის უმიზნოთ, თანამშრომლის საქვეყნოთ ბეჭდვით ვალანძლვა და უკადრისობის მიყენება!.. ეს

სწორეთ აქამდის არ ვიცოდით, თუ ასე იყო!.. არ გვეგონა და ბოდის ეხდით! აღრე მაინც ეთქვათ იმ დალოცვილებს, რომ წერისათვის მაშინვე თავი დაგვენებებია და რისხვა აგვეცდინა. თვარა ახლა რა-ღა დროსია?

მეორე: „რატომ ერთს თქვენ თანამშრომელს არ უსაყვედურეთ, როდესაც იგი არამც თუ არ დაგვეთანხმა იმ პირობაზე, რა პირობითაც გამოიცათ. ილია ჭავჭავაძის, ალ. ყაზიბეგის და სხვა თხზულებანი, არამედ წინდაწინვე მოგეთხოვა ნახევარი მოგების ანგარიშში ორასი თუმანი და მიიღო კიდეცაო.“ ეს კიცხვაცა და საყვედურიც მე მეკუთვნის საკუთრათ. თურმე მე გამიგლეჯია საბრალო, უმანკო და ქვეყნისთვის თაე-დადებული „ამხანაგობა!“ მე გამიძნელებია მათთვის წიგნების გამოცემა და სხვანი. წარმომადგენეთ, რომ მე კი ვერა ეგრძობდი ამას. — მიკვირს!.. სრული დარწმუნებული ვარ, ამხანაგობის პატიოსნებაზე, მაგრამ რა ექნა რომ არც ჩემ თავზე მაქვს ეჭვი! მათი სიმართლე მჯერა, მაგრამ არც ჩემი თავი მგონია მტყუანი!.. და სანამ კანონი, ან მედიატორები გავგასამართლებდნ, იძუ-

ლებული ვარ, მიემართო მკითხველებს და თავიდან ბოლომდე ყოველივე მოეუთხრა ამ ჩენი გაუგებარი საქმის შესახებ და დეე იმან გადასწყვიტოს: „ამხანაგობამ“ მოინდომა ჩემი ნაწერების გამოცემა ამ გვარი პირობით: „როდესაც სრულათ გათავდება ბექლევა, დაბეჭდილი სრულათ ვაიცილება, მაშინ გაწმენდთ ანგარიშს: ავიღებთ ჩვენს ხარჯს, დახარჯული ფულის სარგებელს, საკომისიოს და დანარჩენ მოგებას შუა გაეყოფთო.“ ეს ისეთი პირობა არის, რომ ან სულ უგუნური უნდა იყოს კაცი და ან უკიდურესი ნიღაბა უნდა ჰქონდეს „ამხანაგობის“, რომ დაეთანხმოს!.. განა აქ ცხადი არ არის, რომ, თუ ისურვა „ამხანაგობამ“, თავის დღეშიც ვერას მიიღებს ავტორი? ერთი რომ მალე არ გაათავებს „ამხანაგობა“ ბექლევას, მეორე ის რომ, როგორ შეიძლება ერთი ეგზემპლარი მინც არ დარჩეს გაუყიდველი და გამომცემელს უფლება ექნება ანგარიში არ გაუწმინდოს და უთხრას: ჯერ კიდევ დარჩა გაუყიდველიო. მესამე: რომ კიდევ არა ქნას ამ გვარი საქმე, შეუძლია ისეთი ანგარიში უჩვენოს, რომ პირიქით ვალიც დაადვას, რადგანაც ხარჯი მის სინიდასზე არის გაუსაზღვრელათ მინდობილი. განა არ შეუძლია, რომ გამომცემელმა კაპეიკის ადგილას აბაზი დახარჯოს? ვინ რას ეტყვის, როდესაც უფლება ხელში აქვს? ამგვარ პირობებს არაინ გარეშე ვინმეს არ შეუტრავდა, მაგრამ ავტორები სხვა თვალთ უყურებენ „ქარ. გამ. ამხანაგობას“ და მეც ამ თვალთვე შევხედე.—ამას ისიც ზედ დავამატე, რომ, სანამ ბექლევა გათავებდებოდა, ორი წლის განმავლობაში მოგების ანგარიშში თვითრათ მამლიონ 66 მან. 66 კაპ. იკისრეს ეს პირობა. პირველი და მეორე ტომი გამოსცეს. იცილებოდა თუ არა ის წიგნები, არ ვიცი, მაგრამ მე კი ყოველ თვითრათ ვიღებდი ორი წლის განმავლობაში ჩემ ხედავს. გათავდა ორი წელიწადი და პირობისამებრ მომესპო მეც თვითური გონიერით.—ეს, რასაკვირველია, ჩემთვის სამძიმო არ იქნებოდა, რომ იმაც ხნის განმავლობაში ჩემი ნაწერების ბექლევა გათავებულყო, მაგრამ ბექლევა შეაჩერეს და მეც ნათლათ დავინახე, რომ პირობის ძალით, რადი კი კანონზე დადგენ, უფლება აქვთ, როცა უნდათ, მაშინ დაბეჭდონ. მიეხედი ჩემ შეცდომას და გადაწყვიტე გუნებაში, რომ ჩემ სიცოცხლეში ჩემი ნაწერების ბექლევას გათავებას მე ველარ მოვესწრებოდი, გინდ ხელ-ახლათაც დაებადებულიყავი; ანგარიშის გაწმენდა საიქიოს, მეორეთ მოსელის დროს, თუ მოხერხდებოდა, თვარა აქ აღარა. და ამგვართ ჩემი ორმოცი წლის ნაშრომი დავკარგე რამდენიმე გროშათ!.. ცხადი იყო, რომ მეც იმ მახეში ვავები,

რა მახეშიც ყაზიბეგი ვაება, რ. ერისთავი და სხვანი.. გამოვეთხოვე ჩემ შრომას და გაეჭმედი. მეგონა ამითი დაბოლოვებოდა საქმე. მაგრამ თურმე წინ კიდევ უარესი უსამაროლობა მელოდა.—შარშან ერთი ახლათ დაწერილი მოთხრობა მიეყიდე ერთ გამომცემელს და „ქარ. გამომც. ამხანაგობამ“ დაითხოვა: არ იყოლო, თორემ გიჩივებო. გაცებულმა მე წერილი მივართვი „ამხანაგობის წარმომადგენელს“, რას მერჩით, რომ მლაღატობთ და ხელს მიშლით მითქი? თუ თქვენ გინდათ გამოსცეთ, ბატონი ბძანდებით, უპირატესობა პირობის ძალით თქვენა გაქვსთ და მიბოძეთ ისევე, რასაც ეს მამლევს, და მიირთვით მეთქი. პასუხათ ოფიციალური—კანტორული წერილი მომივიდა: პირობის ძალით, რაც უნდა დასწერო სიკვდილამდე, ვერ დაბეჭდავ, ჩემი არისო. ასევე ბექლევით გამოაცხადეს. გამიკვირდა!.. არც ისინი მიმიღია მეფისტოფელათ და არც ჩემი თავი გამიხდია ფაუსტათ, რომ მათთვის სული მიმეყიდოს და ამგვარ უშვერობაზე ხელი მომწეროს, მით უფრო, რომ ამ გვარი ხელშეკრულობა ყოველ გვარ კანონის წინააღმდეგი იქნებოდა!.. ეთქვათ, რომ კანონიერიც ყოფილიყო და მე სიგიჟით მომეწეროს ხელი, ნუ თუ საკადრისი იქნებოდა „ამხანაგობისათვის“, რომელიც ქვეყნისათვის თავსა სდებს, ჩემი ამ გვართ შებორკვა და სულის შეხუთვა? ვისთვის იქნება ეს სასახელო და სასიქაღულო? ნუ თუ იმ ქართველობისათვის, ვისთვისაც ამხანაგობა თავს სდებს? ამაგებს მე ჩემ გულში ვიკლავდი და არ მინდოდა გამომქლავებო, მაგრამ დღევანდელმა მათმა კიჟინამ კი მოთმინებიდან გამომიყვანა!.. „კვალის“ რედაქტორს ეუბნება: რატომ თქვენს თანაშრომელს არ ურჩიეთ, რომ ის გროშები, რომელიც ჩვენ მივეცი, არ წაელო? დიდება შენს სახელს, ღმერთო!.. ორმოცი წლის ნაშრომში ორასი თუმანი მომცეს, ჩემი ნაწერის შემოსავლიდანვე, ე. ი. წელიწადში ხუთ-ხუთი თუმანი შრომის ფასათ და უკვირსთ, მაცვედრიან და მკიცხვენ კიდევ?.. იმ ხნის განმავლობაში, ღმერთმა ხომ იცის, ქალაქში და მარკებში მეტი გამსელია, სხვას აღარ ვიტყვი! ესეც აღარ მაკმარეს, მომავალშიაც ჩემთვის საკუთრათ აღარც გრძნობისა და აღარც ფიქრის ნებას აღარ მამლევენ და თვითონვე იძახიან ჩვენს უფლებას ვერაფის შევალახვინებთ, თავს ვერ ვავიციცხავთო!.. აბა წყალს გაღმა შეცილება ამა-სა ჰქვია!.. ცხადია, აქ რაღაცა შეცდომა არის, თორემ ამხანაგობა როგორ იკადრებს განწარხვით ცუდ რასმე... სწორეთ შეცდომა და მედიატორებმა უნდა გამოარკვიონ. მანამდი კი პირობას დარღვე-

ულათა ესთელი და ჩემი ნაწერები აღარ უნდა ბეკ-
ლონ! ამ სიტყვასაც ვაძლევ „ამხანაგობას“: რომ კი-
დეც გამტყუნდენ, მე მაინც დავუბრუნებ მაგათ
ფულს და ზარალსაც, თუ კი რამ ნახეს, იმავე გზით,
რა გზითაც ჩემთვის მოუციათ, მხოლოდ ანგარიში

კი უნდა გაწმინდონ. — ესთხოვ აირჩიონ მედიატორე-
ბი პირობისამებრ და მეც ჩემ მაგიერობას მიენ-
დობ ეინმე მეგობართაგანს, რომ მიჰყვეს „ამხანაგო-
ბას“ სამართალში!.. იმედია ამ თხოვნეს ასრულდებენ.
აჭკო.

სხვა-და-სხვა ამბები.



ახელმწიფო საბჭოს შეუწყნარებია საკომერ-
ციო განათლების პროექტი. ამ პროექტის ძა-
ლით ფინანსთა სამინისტროს ნება ეძლევა
გახსნას სხვა-და-სხვა ადგილას საშუალო საკომერციო
სასწავლებლები, საეაჭრო კლასები და სხ. ამ მიზნი-
სათვის სახელმწიფო საბჭოს გადაუდგია 60,000 მან,
რათა მოამზადოს მასწავლებლები საკომერციო სას-
წავლებლებისათვის საჭირონი, 10,000 მანეთით კი
დახმარება აღმოუჩინოს განზრახულ საეაჭრო კლ-
სებსა და კურსებს.

* *

კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგა-
დოებამ 5000 მან. გადადგა იმ მიზნით, რომ საზო-
გადოების ყველა საყდრებთან იქონიოს წიგნთსაცავე-
ბი, რომლებშიაც მოთავსებული იქნება რელიგიური
და ზნეობრივი შინაარსის წიგნები ქართულსა და
რუსულ ენაზე.

* *

ნ-ს თებერვალს ქალაქის საბჭო განიხილავს კა-
მისიის მოხსენებას იმაზე, თუ რითი ჰყონ დაუფიქსა-
რი იმპერატორ ნიკოლოზ II ტახტზე ასელის დღე.

განხილული იქნება აგრეთვე, იაფ-ფასიანი საქალაქო
წიგნთსაცავი დაარსდეს, თუ „შრომის მოყვარეობის“
სახლი.

* *

თბილისის იარმუკაზე ერთ ქართველს იონა ბე-
რის „კატენიზმო“ უპოვია.

* *

წარსულ კვირას ეგზარხოსის საყდარში პანა-
შვიდი გადიხდა განსვენებული ეპისკოპოსის გაბ-
რიელის სულის მოსახსენებლათ თვით ყოე-
ლად უსამღვდელოესობამ ეგზარხოსმა ელადიმირმა.
განჯაშიაც იქაურ ქართველობას გადაუხდია პანა-
შვიდი.

* *

ოთხშაბათს, 31 იანვარს კავკასიის სამეურნეო
საზოგადოების დარბაზში ქ. ყაიდანოვისამ წაიკითხა
მოხსენება იმაზე, თუ რა დასკვნას დაადგა სწავლა-
განათლების გასაუმჯობესებლათ საერთო კრება მა-
სწავლებელთა, რომელთაც საზოგადო კრება ჰქონ-
დათ წარსულ წელს მოსკოვში. შემდეგ ნომერში
მკითხველებს ერცლათ გავაცნობთ ამ ფრიად საგუ-
ლისხმო მოხსენების შინაარსს.

საყურადღებო ამბები.



აფიელ ერისთავის იუბილეის გამო. წერილი
ირკუტსკიდან. 22-ს ოქტომბერს აქ მყოფმა
ქართველებმა ვიდღესასწაულეთ ჩენი ძვირ-
ფასი მგონის თავ. რაფიელ ერისთავის ორმოც-და-
ათი წლის სალიტერატურო ასპარეზზე ნაყოფიერათ
მოღვაწეობის დღეობა. პარაკლისი გადავიხადეთ ჯერ
ძველსა და მერე ახალ საკრებულო ტაძარში, სადაც
მწირველი თვით მათი ყოვლად უსამღვდელოესობა

არქიელი ტინონი ბრძანდებოდა. პარაკლისზე და-
ვესწრენ რუსებიც, რომელთაც ან საქართველოში
უმსახურიათ ან გული შეტკივთ საზოგადოთ ლიტე-
რატურისათვის. დავესწრო აგრეთვე რედაქტორი
ადვილობრივი გაზეთის „Восточное Оздорвие“-სა იე-
იე. პოპოვი. ყველაზე მომეტებული დახმარება გა-
გვიწია ამ დღესასწაულის რიგინათ გამართვაში ციმ-
ბირის მკვიდრმა, დღეს აქაური საბჭოს ხმოსანმა სე-
სე. შჩუკინმა, რომელსაც 1 70—1880 წლებში სა-
ქართველოში უმსახურია და სწავთა შორის სალი-
ტერატურო ასპარეზზე მონაწილეობას იღებდა. პა-

რაკლისი „მრავალ-ქამიერით“ გაერთიანდა. შემდეგ აქაურმა დეკანოზმა მ. მილიშაფრანოვმა, რომელსაც კარგათ შესწავლული აქვს საქართველოს საეკლესიო ისტორია, წარმოთქვა გრძნობით საესე სიტყვა. თავის სიტყვაში დეკანოზმა საზოგადოებას განუმარტა, რომ საქართველო, ივერია არის ღმრთის მშობლის წილ-ხლომირი მხარე. პირველ საუკუნოშივე ამ მხარეს ქრისტიანობას უქადაგებდა ანდრია მოციქული. ღოღო მესამე (?) საუკუნეში მთელი საქართველო გაანათლა ქრისტეს მოძღვრებით მოციქულთა სწორმა წმიდა ნინომ. ძლიერ სასიამოვნოაო, განაგრძო მან, რომ ღმრთე აქაურ ქართველობას თავი მოგიყრიათ, რათა ღმერთს შეაფედროთ თქვენი საყვარელი სახალხო პოეტი რაფიელი. „სამშობლო, პატარა იგი თუ დიდი, არც ერთმა კეთილმა შეილმა არ უნდა დაიფიქოს, სადაც და რა მდგომარეობაშია უნდა იყოს. ეს შეურყეველი და ქვეყნარტი მოვალეობაა ყოველი მართლმადიდებლისა“. სამშობლოს სიყვარული კი ვალათ ადევს ყველას მოიგონოს, ვინც კი მოღვაწეობს ამ სამშობლოს საბედნიეროთ და სასარგებლოთ. „პოეტის ქნარო — თქვა, თუ იგი მომართულია ქვეყნის საბედნიეროთ და გაქმნილია ღმრთეებრივი პაეზით, იგივე ლოცვაა, იგივე ღმრთის მსახურება“. შემდეგ პატივცემული დეკანოზმა გვიჩიოა, რომ ირკუტსკში ავაშენოთ ქართული საყდარი, სადაც დედა ენაზე, ქართულზე სრულდებოდეს ღმრთის მსახურება, რათა ამით უფრო შევეერთდეთ და შევეკავშირდეთ ქართველობა და უფრო ღმრთის მოყვარენი შევიქნეთ. ამის წინააღმდეგი არც მთავრობა ზ არც ვინმე იქნებაო, რადგან თათრებს, კათოლიკებს, გერმანელ-პროტესტანტებს თვისი საკუთარი საყდარი აქეთო. ბოლოს სიტყვა ამით გაათავა: „ეთხოვე მაცხოვარს, დღეგრძელი ყოფილიყოს თქვენი სახალხო პოეტი რაფიელი და თქვენც კურთხეულ იყოთ ერთობით თქვენი დაუღალავი მოღვაწის მოხსენებისათვის. ამინ!“

ამ სიტყვამ მთელ აქაურ ქართველობაზე დიდი შთაბეჭდილება იქონია და კიდევ გადაწყვეტით ჩვენსი საკუთარი საყდარი ვიქონიოთ.

ი. მეჩკვილიძე.

* * *

ქ. გორში არის ერთი ძველი ოქონის ხატის ეკლესია, აშენებული ნეტარ-ხსენებულ საქართვე-

ლოს დედოფლის თამარის დროს. ეს ეკლესია აშენდა ყოველად წმიდის ღმრთის მშობლის მიძინების სახელზე. აქ ასენია ძალიან ძველი ოქონის ხატი — სამკარინი: შუაში გამოხატულია იესო ქრისტე, რომლის ერთი მხრით ღმრთის მშობელია, მეორეთი კი იოანე ნათლის მცემელი. 1029 წელს საბერძნეთის კეისარმა რომანოზ III არგორიამ თავისი ძმისწული ელენე ცოლათ მისცა საქართველოს მეფეს ბაგრატ IV. დედოფალ ელენეს თან მოჰყვა ოქონის ხატი და მოძღვარი მისი დეკანოზი გარსევან, წინაპარი აზნაურთ გარსევანაშვალეებისა. თამარის დროს აშენდა ეკლესია ოქონის ხატისა და დედოფალმა უბოძა გარსევანაშვილებსა.

ეს ეკლესია იყო პატარა და მეტათ დაძველებული ქამთა-ერთარებისაგან. 1882 წელს ხელმეორეთ შეაკეთეს და გაადიდეს იგი. მაგრამ ქრისტეს მოყვარე მრევლი ამით არ დაკმაყოფილდა და აქვს წადილი უფრო უკეთესათ გააშენიეროს საქართველოს დიდებული ნაშთი. ეკლესიას არა აქვს ქვით დაგებული იატაკი. კედლები და ცა არ არის დახატული, არა აქვს საკმაო შესამოსი და სამკაული. ამასთანავე მრევლმა განიძრახა დააარსოს ოქონის ხატის ეკლესიასთან დიდი ხნიდან სანატრელი სამრეკლო შკოლა, სადაც მიღებულ საგნებს გარდა, უნდა ასწავლონ ბავშვებს ქართული საეკლესიო და საერო გალობა.

სამწუხაროთ, ამ კეთილი წადილის ასრულებას ხელს უშლის ერთი გარემოება: მრევლი ოქონის ეკლესიისა რიცხვით მცირედია და ძალიან ღარიბი. რადგან ამ შემთხვევაში საჭიროა ცოტაოდენი დახმარება, ამიტომ ყოველმა ქართველმა უნდა შეწიროს შეძლებისამებრ თავისი წელილი. ჩვენ უნდა მივცეთ შემწეობა ოქონის ეკლესიის მრევლსა სიტყვისამებრ წმიდისა მოციქულისა: „ყოლისა შინა ურთაერთის სიყვარული განმარტებული გაქმნიდინ“.

აღრესი შემომწირველთათვის: ქ. გორი, დეკანოზს გრიგოლ ღამბარაშვილს, ან ოქონის ხატის ეკლესიის მზრუნველობის თავმჯდომარეს ალექსანდრე სვიმონის ძე გარსევანაშვილს.

გორელი.

მე-XVIII საუკ. გეოგრაფიული ცნობანი საქართველოს შესახებ.



ქართველთა განვითარების ისტორიაში ორი ხანა ფრიად საყურადღებო. პირველი, „ოქტობრის დროთ“ წოდებული, გაგრძელდა მეთექვსმეტე საუკუნიდან მეთორმეტე საუკუნის დასასრულამდე, მეორე ხანა კი შეიცავს სალიტერატურო მოძრაობას მე-XVIII საუკუნის განმავლობაში. საქმათ არც ერთი ეს საყურადღებო და შესანიშნავი პერიოდი არ არის აქამდის გამოკვლეული და შესწავლილი. აი, ამიტომაც ყოველი მასალა, რაც კი ამ დროის გონებითი და ზნეობითი მდგომარეობის გამოხატველი და დამსურათებელია, უნდა აანიშნოს და გამოკვეყნდეს. სხვათა შორის საჭიროა შემოიკრიბოს ცნობანი, რა სასწავლო სახელმძღვანელონი და საგნები იყვენ მიღებული ჩვენს სკოლებში. მე-XVIII საუკ. ანტონ კათოლიკოზის გავლენით სემინარიები მოეწყვენ სხოლასტიურ გეგმაზე, როგორც კიევის კოლეგიუმი და მოსკოვის სლავინურ-ბერძნულ-ლათინური აკადემია. ანტონ კათოლიკოზის მიერ ნათარგმნ წიგნებიდან და თვით მისგან შედგენილ სახელმძღვანელოებიდან აშკარათ თვალსაჩინოა, რომ ფილასოფიას, მეტაფიზიკას, ლეთიმეტყველებას, ლოგიკას, გრამატიკას, ფიზიკას სხოლასტიური მეთოდით ასწავლიდენ. მომეტებული ნაწილი თავის სახელმძღვანელოებისა ანტონმა გადმოიღო ან შეადგინა რუსეთში დაარსებულა აკადემიების წაბაძვით. საკვირველია, რომ გეოგრაფია, რომელმაც ფეხი მოიკიდა რუსეთის სასწავლებლებში ჰეტრე დიდის დროიდან, ანტონ კათოლიკოზს ან არ უთარგმნია, ან თუ უთარგმნია, ჩვენამდის არ მოუღწევია.

ეჭვს გარეშეა, რომ გეოგრაფიას ჩვენში დაეთმო ისეთივე ადგილი, როგორც დასავლეთ ევროპასა და რუსეთის სასწავლებლებში. რუსეთში სახელმძღვანელონი გადმოიღეს ევროპული ენებიდან, ჩვენში კი რუსული ენიდან. ერთი გეოგრაფიულა სახელმძღვანელო მაინც, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია, გადმოუღია ბატონიშვილს ვახუშტის (?) მოსკოვში. ეს გეოგრაფია შეიცავს მთელი ქვეყნ-ერების აღწერას და საუკეთესოა წიგნათ იყო მიჩნეული რუსეთის სასწავლებლებში სახმარებლათ. თვით ბატონიშვილი (?) გვაუწყებს, რომ მისი საზოგადო გეოგრაფია რუსულიდან არის გადმოცემული: 1) „მოკლედ ქცუულე-

ბის ლეოლოგია გამოცხადებული და გამოცემული რუსულს ენასა ზა (აწ ქართულს ენას ზა) არ დიდის ატლასისა მრთ გაწყობილი გასახმარებისათვის ღიმნაზიისა იმპერატორულის აკადემიისთვის. სანკოპეტერბურლსა შა 1745 წელსა. ხოლო ქართულსა ენასა ზა 1752, აგვისტოს 25. შესრულდა მოსკოვის არენას“.

ჩვენ შევადარეთ რუსულ ენაზე გამოცემული მე-XVIII საგეოგრაფიო წიგნებს და მივაგენით იმ სახელმძღვანელოს, რომლიდანაც უთარგმნია ბატონიშვილს ვახუშტის (?). ამ გეოგრაფიას ეწოდება: *Краткое руководство къ географіи въ пользу учащагося при гимназійи юношества въ С.-Петербургѣ 1742 года. Печатано при Императорской Академіи Наукъ.* შედარებამ აღმოაჩინა ცოტაოდენი ცვლილება, რომელიც ვახუშტს (?) მოუხდენია თვის ნათარგმნ წიგნში. გამოტოვებულია სრულებით ის თავი, რომელსაც ეწოდება რუსულათ *Пріуготовленіе. а къ асннилоа, რა არას გეოგრაფია, რუკა 2*) და სხვ. (что есть географія? — какииъ образомъ географіи научитесь можно? — какиъ должно ландкарту предъсобою владеть? — какиъ называются четыре главныя страны?) შემდეგ რუსულათ მოყვანილია: *ландкарта о земномъ кругомъ, о Европѣ; о Португаліи и гишпаніи, о Франціи და სხვა სახემწიფოების მოკლე განხილვა რუკით.* შემდეგ ამ გეოგრაფიურ რუკით ასსნილია: *ландкарта о Азійи, о Африкѣ, о Америкѣ.* ეს ნაწილი გეოგრაფიის ვახუშტის (?) სრულებით გამოტოვებული აქვს და პირდაპირ შედგომია მეორე ნაწილის თარგმნას, რომელსაც რუსულათ ეწოდება: *краткая политическая географія въ изъясненію издавнаго на російскомъ языкѣ небольшого атласа, сочиненная для употребленія гимназій при императорской академіи наукъ. Въ С.-Петербургѣ 1745 года.* სწორეთ ეს არის პაქენისა ვახუშტს გეოგრაფიისა. ამ ნაწილის აღბეჭედა, როგორც ხედავთ, აღნიშნულია 1745 წ. და ვახუშტიც გვაუწყებს, რომ იგი გამოცემულია რუსულათ სანკოპეტერბურლსა შინა 1745 წ. ბატონიშვილი (?) ამასვე უმატებს, რომ იგი თარგმნის „არა დიდის ატლასის მრთ“, ესე იგი გამოტოვებული აქვს პირველი ნაწილი რუსულათ აღბეჭედილი გეოგრაფიისა, სადაც მოყვანილია გეოგრაფიის მოკლე განხილვა რუკებით (*ландкарты*).

იმ მიზნით, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს მკითხველისთვის რუსული და ქართული გეოგრაფიის

1) აქვე ვკითხვოდით შემდეგ ლექსს:
 სსკურე სელქსხანი, უცსოთა ძოართ ტომთა იმტენი,
 ბიქსივი აშით რათ დამგომო, მე რადენ ვიტევი
 იჭრთესი,
 დეოდრფიას ეწევი, რა უყო სრულად უწყენი
 და ლერქსად-ისძიეკ და აწით, ძოიგო ესთენ
 ესენი.

2) რუსულ დედანში არიან მოყვანილნი სრულებით რუკები, რომლითაც სავსეა ქართული ნათარგმნი: აქ არიან რუკანი საფრანგეთის, ღიმნანიის, დიდი არიანის, დერმანიის... ასიის, აფრიკის და სსვ.

შეთანხმება³⁾, ჩვენ მოვიყვანოთ რამდენიმე ადგილს შესადარებლათ. გეოგრაფია იწყება შემდეგი სიტყვებით:

Приготовление

Сколь невелика и не важна земля наша, примѣняя къ величинѣ находящихся въ далекомъ отъ насъ разстояніи большихъ небесныхъ тѣлъ, въ разсужденіи которыхъ она едва съ наималѣйшею точкою сравнена быть можетъ; столь велика и пространна является она напротивъ того, когда мы иную въ блискомъ разстояніи рассматриваемъ; и должно призвать, что въ сочипенныхъ съ наибольшимъ трудомъ книгахъ искуснѣйшихъ географовъ того совершенно неизяснено, что на землѣ примѣчанія достойное находилось и нынѣ еще находится.

ამ მოყვანილი რუსულ და ქართულ ენაზე დასაწყისი შესავალისა (,წინარე განზადებულებანი — приготовление⁴⁾) საუცხოვო ნიმუშია წარსულ საუკუნეში მიღებულ სამეცნიერო ტერმინოლოგიასა. ამ ნაწყვეტს თუ გვერდით ამოვუყენებთ ანტონ კათალიკოზის გრამატიკიდან, მეტაფიზიკიდან ან ლეთის-მეტყველებიდან რამდენიმე ადგილს, შეგვიძლია სრული წარმოდგენა ეიქონიოთ, რა მძიმე, ნაძალადევი და გაუგებარი ენით წერდნ ჩვენი საუკეთესო მეცნიერნი. მთარგმნელს გადმოაქვს ქართულათ აზრი კი არა, სიტყვები იმავე წესწყობილებით, როგორც დედანშია. ამ გვარ ნაღვაწ შრომაში ეხედეთ მე-XVIII საუკ. ენის შერყევას და მრუდე გზაზე დადგომას. რამდენათაც ძველი ნაწერები გასაგებია, იმდენათ მე-XVIII საუკ. — ბუნდი და გაუგებარი. მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს გეოგრაფიას და მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე ადგილი შესადარებლათ.

3) მთარგმნელს დაუმტკბია „სსკათა ენათა სსსკლ-თა ასსსსა“: მაგალითათ: აქცია — ომი, ალვია — სეივანი, ზესუბი — ნადირა, კრისი — ფოცსკერი (?), ზატრადი — თავიგატი.

წინარე განზადებულებანი

ვითარ არა დიდი და არ ძნელი ქვეყანა ჩვენი შეიქცალების შრთ მოპოვნე-ბულებთა შორად ჩვენგან განშორებასა შა უფროსთა ცოვანებთა გვამთა, რომელით გაშინჯულე-ბასა შინა მას ძლიე უშმ-ცირესისა წინწყლისა თა შეთანწორებისა ყოფად ძალუტს; ვითარ დიდი ღ განერკელებული გამოიჩინების იგი პირის პირობასა ზა მისსა, ოდეს ჩვენ მას ახლოსთა განშორე-ბასა შა გავშინჯავთ; და თანამდებარს ცნობად, რაი დამწყებელთა უფროსებთა შრომილთა წიგნებთა შა უმეტეს გამოცდილთა ლეოლოგიათგან მისთვის შესრულებულათ არა გამოცხადებულარს, რაი ქვეყანასა ზა დანიშნულებანი ლირსეულნი მოიპოვებოდა ღ აწუცა ჯერედ მოპოვების.

Политическая географія. При первомъ разсмотрѣніи глобуса показываються гла-замъ нашимъ двѣ особыя части, то есть земля и вода, которыя чрезъ общее свое соединеніе кругмый видъ онаго изьявляютъ.

მოყვანილი მაგალითი ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რა უკანონო და ქართულ ენასთან შეუხამებლათ ითარგმნება რუსულიდან ეს გეოგრაფია. თუ იგი სახელმძღვანელოთ იყო მიღებული სადმე, მაშინ უფრო სამწუხაროა ასეთი წიგნის შეტანა სასწავლებელში. სიტყვა-სიტყვით თარგმნამ იქამდის მიაღწია, რომ რუსული წინადადების ხასიათი დაცულია, კონსტრუქცია უცხო ენისა ნაძალადევათ გადმოტანილია ქართულში. ჩვენს დროში ევრაეინ გავხედავს ასე ზრმათ მიჰყევს დედანს და ქართული ენის ხასიათი დაამახინჯოს. მას შემდეგ, განა კიდევ გვეთქმის, რომ ჩვენი ენა უძველესი დროიდან უცვლელათ დარჩა და არ განვითარდა? განა ენის განვითარება არ არის, როცა აწინდელი მწერლები იმავე აზრს, რომელიც ზემომოყვანილ გეოგრაფიაში უფრო მარტივათ, გასაგებათ და კანონიერათ გამოთქვამენ, ვიდრე მე-XVIII საუკ. მეცნიერნი?

მთარგმნელს ცვლილება შეუტანია თვის შრომაში იმ ადგილას, რომელიც შეეხება საქართველოს. დამატებას რუსულ დედანთან ჩვენ აღვნიშნავთ ხაზგასმულათ.

Грузія или Гургистанъ (по лат. gr. orgia) которая между Чернымъ и Каспійскими морями, въ той сторонѣ лежитъ, гдѣ извѣстныя въ древнія времена провинціи Колхисъ, Албанія и Иверія бывали. Породоіе сея земли находится неравно, и въ благоплучныхъ мѣстахъ приноситъ она довольно хлѣба, овошей, хорошихъ виноградныхъ винь, хотя тамошніе обиватели и въ шелкѣ, медѣ и разныхъ кожахъ

ქცეულობისა ლეოლო-ფია (ანუ ქვეყნის მზაზე-ლობა). პლთ გასინჯვისა თა სფეროსა იჩვენებინ თვალთა ჩვენთა ორნი ცალკეობნი წილნი, იგი არს მიწა და წყალი, რომელინი ზოგადათ თვისსა შეთანაერთბამების გამომრგვალი ჩენა მისი გამოცხადებინ.

საქართველო ანუ გურჯისტანი (ლათინებრ გეორგია), რომელი შავსა და კასპიურს ზღვის შს, მს კერძოსა შა ძეს, სადა უწყებული ძველის ესა შა სანახები კოლხის, ალბანია (აფხაზი (?)) და იბერია იმყოფოდნენ, უდეს ჩიდელოთ მთავკასის, სამსრით სომხითი, აღმოსავლეთ სპარსეთი, დასავლეთ შავი ზღვა. ნაყოფიერება ამის ქვეყნისა მოიპოვების არა თანასწორათა და კეთილ შემთხვეულთა ადგილებთა შა გამოიღებს იგი საკმაროთ პურსა, ხილსა, კარკასა ვენახს ლეინოთა, განა მუწუნებურთა მოსახლეთა აბრაშუმსა,

также никакова недостатка не имѣютъ. Вышереченные обыватели почитаются по ихъ вѣрѣ за христіанъ, хотя впрочемъ нѣкоторые авторы какъ законъ, такъ и житіе ихъ не очень похваляютъ. Вся общо грузинская земля раздѣляется на Западную и Восточную части отъ первой, то есть Западной части требуютъ Турки защитительнаго права, которое въ разсужденіи послѣдней, то есть въ Восточной части, напротивъ того приписываютъ, хотя оба самодержавнаго владѣнія съ обыкновеннаго у нихъ строгостию, для великаго отдаленія, въ дѣйство про изводить не смѣютъ, опасаясь, дабы грузинца положеннаго на нихъ ига при первомъ случаѣ весьма не отложили.

თაფლსა, ცე ლსა და განთვიტებულთა ტყავთა შა, ეგრეთეე არავითარი ნაკლებუენებანი არა აქუსთ. ზეით ქმულნი მოსახლენი ირიცხვიან მათთა სარწმუნოებისაებრ ქრისტიანებთა წილ, განა მერმელა რაოდენიმე ავთორნა, ვითა რჯულოთა, ეგრეთ ცხოვრებასაცა მათთა არა დიად აქებენ. ყოველი ზოგადათ საქართველოს ქვეყანა განიყოფების დასავლეთის ღ აღმოსავლეთის წილსა ზედა. პირველისგან, იგი არს დასავლეთის წილნი ხმარობენ თურქის დამფარეელობის მმართველობასა, და რომელსაც სპარსნი თაისად გაშინჯულებასა შა უკანასკნელსა, იგი არს აღმოსავლეთის წილსა შა პირისპირ მისსა მიიწერენ, გინა თუ ირნიე თეთომსყრობელობისა მფლობელნი ჩვეულებითურთ მათთა მოქმინებობისაგან, შორეს განშორებისათვის მოქმედებასა შა ვერ კადნიერებენ. მოფთხრალენი, რათამცა ქართველნი დადებულსა მათ ზა უპირეელებს პირეელის შესხდომისა თა ყოვლითეე არა გადახდებოდნენ. 4)

ასეთნაირათ დამახინჯებული ენით თარგმანი პირეელოთ შეგებდა. ამიტომაც ეკვი შეგვაქეს, რომ დახელოენებული, ენისა და მწერლობის მცოდნე ბატონიშვილი ეახუშტი იყოს ავტორი ამ გადმოქართულებული გეოგრაფიისა. მიბაძვა რუსული დენისადმი იქამდის მიღის ქართულ ნათარგმნში, რომ „რადწილება ნა... ჩატი“ გადმოღებულია: „განიყოფების.. წილსა ზედა“ ნაწილათ—ის მაგიერათ! მკითხველი ადვილათ აღნიშნავს იმ ადგილებს, რომელიც ეხამუშება არამც თუ ჩენი დროის ენას, არამედ წარსული საუკუნოების გრამატიკულ კონსტრუქციასაც. რადგანაც ამ გეოგრაფიაში, რომელიც მიღებული იყო სახელმძღვანელოთ რუსეთში დიდისნის გან-

4) ქარაგმა გაუსხნელი იქ არის დატოვებული გაუსხნელათ, სდაც მკითხველი თითონაც ადვილათ მისჯდება. მომეტებულ შემთხვევაში ჩვენ ვწერთ ქარაგმა ასხნელათ.

მავლობაში, საქართველოს შესახებ ცნობანი მოკლეთ არიან მოყვანილნი, ამიტომ ჩვენ ამოწერთ ამ ადგილებს, რომ მკითხველს მიეცეთ საშუალება გასაჯოს, რა წარმოდგენის შედეგა შეიძლება უცხო ქვეყანაში ჩენი სამშობლოს შესახებ ამ გვიარი აღწერით.

До Западной части грузинской земли надлежитъ.

1) Мингрелія (по лат. также Mingrelia) которая земля все древнія времена чрезъ воспріятіе такъ называемыхъ Арганаутовъ, а въ новѣйшіе вѣки чрезъ учрежденной въ разсужденіи онаго воспріятія Кавалерскаго золотого руна, прошла въ славу.

2) Имеретія (по лат. Imeretia) лежитъ далеко

отъ морскаго берега и имѣетъ нѣсколько хотя неважныхъ замковъ.

3) Гуріель (по лат. Guria) лежащая у Чернаго моря довольно населенная провинція, которой провинціи владѣлецъ около 50,000 человекъ вооружать можетъ. Въ надлежущихъ до оной городахъ Гуріель и Гурѣ содержатся обыкновенно Турецкіе гарнизоны.

დანარჩენ ცნობასაც ამავე გეოგრაფიიდან საქართველოს შესახებ მოიყვან მხოლოთ ქართულ ენაზე, რადგანაც ზემოთ ამოწერილმა ადგილმა საკმაო

5) ეს ნათარგმნი აქ დედანთან შეცვლილი და ზოგან შემოკლებულია.

დასავლეთის წილი საქართველო ქვეყანა განიყოფის იმერეთსა და სამცხესა ანუ მესსსს. ოღინი ანუ მეგრელი (ლათინებრ ეგრეთეე მინგრელია) რომელი ქვეყანა ძველსა ქამსა შა მიღების გამო ევრედ წოდებულთა არღანათთა და ახალს საუკუნოსა შა განწესებულის გამო გაშინჯულებასა შა მის მიღებულისა კავალერის რიგისა ოქროს საწმისისა მოვიდა დიდებასა შა და აწს ნაყოფიერა ქვეყანა და ჭყავს თავისი ბატონი.

იმერეთი (ლათინებრ იმერეთთია) ძეს ოდიშის და გურჯის აღმოსავლეს კემოთ არ შორს განშორებასა ზღვისაგან და აქეს რაოდენიმე ციხენი და ნაყოფიერ აწს ყოვლითეე რამლისა მესატრონისა სულქვეშენი არიან სამნი წინსხენებულნი ქვეყანანი და სამთა ამათ ქვეყანათა შა ქალაქთა და ციხეთა რაოდენთამე დაიპყრობენ თურქთა გუშაგნი.

გურია 5) (ლათინებრ გურია) მდებარე შავის ზღვის სამხრეთის კიდესა შა მესამზღერე ოდიშის ღ სამცხისა და არს საკმაროთ ნაყოფიერ ყოვლითეე, რომელსა ჭყავს თვისი ბატონი.

გაგეცნო, როგორ თარგმნის უცნობი ავტორი რუსულ დედანს. ხაზგასმული ცნობანი რუსულათ არ მოიპოვებინ.

„სამცხეს უქეს აღმოსავლით ქართლი, სამხრით სომხითი, ჩდილოთ იმერეთი და დასავლით შავი ზღვა და აზრუმი მას შა აჩს. ანაღცისე, აჩა დიდი მოსდუდეილი, აქუს ცისე გუშაგითა თურქითა ქაღაქი, ავითა შემტო და ნაყოფიერი ყოვლითეკე, ზის მას შა ფაშა ქათველის გეაჩისა, რომელინი მამადიანი იქმნენ 1625 წელს შდ ეს შობისა და გლეხნი ჟერეთ ქრისტიანენი აჩიან.

აღმოსავლეთის საქართველოს ქვეყანა განიყოფის ორათ ქართლი და კახეთი (ლათინებრ კარაღუელია და გაგეთი) და ორნივე არიან სპარსეთის ფლობასა ქვეშე. და კახეთს უძეს ჩდილოთ და აღმოსავლით კავკასის მთა და დაღისტანი, სამხრით შირვანი და დასავლით ქართლი და ყარაბაღი და არს ნაყოფიერი ქვეყანა, არამედ 1616 წელსა შა სპარსეთის შააბაზმოახრა და მიერით არა რაი არს ქალაქი


და ციხე, გინა უწინარეს ყოფილიცა და მოსახლობენ მდაბიურ ⁶⁾ და ჰყავს თვისი მეპატრონე.

ქართლს უქეს ჩდილოთ კავკასიის მთა, აღმოსავლით გასეთი და ყარაბაღი, სამხრით სომხითი და დასავლით იმერეთი და სამცხე. მას შა არს: ტფილისი (ანუ თფილისი) ლათინებრ თეფლის. ესე ძველს ქამსა შა სახელით. არაკათისა წოდებული ქალაქი, ძეს მიაჩრულსა და ნაყოფიერსა ადგილსა და გამაგრებულ არს მაგრითა ციხითა, აღიღეს თურქთა ⁷⁾ 1727 წელსა შა და არს ქართველთა და სომეხთა ამას ქალაქსა შა ეკლესია 14 მუნ დის ცხელი წყაღი, რომლისაგან აჩიან აზნონი გარგნი. გორი (ლათინებრ კორი) მხიარული, ჰავითა ქემრეკე და ნაყოფიერს ადგილს მაგრითა ციხითა მდგომარე ქალაქი.“

ა. სანსაშვილი.

⁶⁾ დედანში არ აჩიან აღნიშნულნი საზღვრები გასეთისა და გადმოგეტყოს: Каветская провинция находится отъ большей части пуста и почти все обыватели оныя живутъ въ кибиткахъ.


⁷⁾ დედანში: лежить у Дагестанскихъ границъ, укрѣпленъ замкомъ, который въ 1727 г. отъ турковъ взятъ.



სხვა-და-სხვა ვგარი საცანჯველი და სასჯელი იარაღები.

ქაშუალო საუკუნოებში, როცა მთელი ევროპა უმეცრებისა და უღმობლობის ბურუსში იყო გახვეული, დამნაშავეთ სასტიკათ ტანჯავდენ და სჯიდენ. ზოგი ამ სატანჯველთაგანი ისეთთა, რომ ახლაც მნახველს ჟრუანტელს მოჰგერის და ცახცახს დააწყებინებს. ბევრი ამ სატანჯველ იარაღთაგანი დღემდე შენახულია მიუნხენის მუზეუმში. ზოგი სასჯელი კი ისეთნაირია, რომ ამით დამ

ნაშავე უჯრო ზნეობრივ დამცირებს გრძობდა. მოქვიფე და ლოთ კაცებს აცმევდენ ხოლმე ისეთ ტანისამოსს, რომელზედაც გამოხატული იყო ყველა მათი მოქმედება. მოჩხუბარ დიაცთ კი გაყოფინებდენ ხელსა და კისერს ისეთ ფიცარში, რომ მათ შეეძლოთ ერთმანეთი ელანძლათ და ეგინებიათ, მაგრამ ხელს კი ვერ მოიხმარდენ. ცუდ ყოფა-ქცევის ქალიშვილებს გაუკეთებდენ ხოლმე ჩაღის ნაწინავებს და ჩაღისავე გვირგვინს დაადგამდენ თავზე. ბანქოს მოთამაშეთ აცმევდენ ტანისამოსს, რომელზედაც გამოხატული იყო ბანქო და ყველაფერა, რაც ბანქოს სათამაშოთ საქიროა.






მონსუერ მაძაგტა
სსსკელი.



ნიღაბი ცილის მწამებულთაის.



მონსუერ დიანა სსსკელი.



შერის მტრობელთა სსსკელი, რომლებიც
გლას შერს აცნობდნენ.



ბანქის მოთამაშეთა სსსკელი.



მ. კიევი-ლითა კდასსკელი
ტანსაცმელი.



ცუდი უაზრე ქვეყანის და
სსსკელი და კვირგინი და
ნაწნავეები.



ცილის მწამებულთა სსსკელი
ტანსაცმლის რეინის ბურთე-
ბით.



ქანის რომლითაც სკია
დენ ჭედებს.



რეინის სსსკელი.

კვირიდან კვირამდე.



მას წინათ ჩვენ გამოეტქვიტ ის აზრი, რომ უსათუოთ საქირთა რომელიმე სატახტო ქალაქის გაზეთში ჩვენი საქმეების შესახებ წერა. არ გასულა დიდი ხანი, საქმე ისე ნაირათ დატრიალდა, რომ ახლა უფრო დიდ მიუტყეველ ცოდვით ჩაგვეთვლება, თუ ღროზე არ ვისარგებლეთ გარემოებით. მაშინ, როდესაც აქ უშვერი სიტყვებით შეზავებული და სიცრუეზე აგებული ფელეტონებით ერთმანეთს ვამკობთ, ზოგიერთი რუსეთის გაზეთები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ რაიმე საამო და საგულისხმო წარმოთქვან ჩვენდა „სანუგეზოთ“. მაგრამ ყველაზე უფრო სასიამოვნო მოგვიძღვნა ჩვენ ამ დღეებში ისეთმა გაზეთმა, რომლისაგან, გულ-წრფელათ უნდა ეთქვათ, ამას სრულიად არ მოეველოდით. ეს გახლავთ „Московскія Вѣдомости“, რომელიც კონსერვატორების ორგანოებს ეკუთვნის და, რა თქმა უნდა, ახლანდელი რეჟიმის დროს საქმათ გავლენიან გაზეთათ ითვლება. მაშასადამე იმის აზრიც ჩვენს შესახებ საყურადღებო უნდა იყვეს ჩვენთვის. სულ პირველათ ამ წლის მეექვსე ნომერში ხსენებულმა მოსკოვის გაზეთმა დასტამა „ქართველის“ (ასე იყო ხელმოწერილი) წერილი. ამ წერილში მოთხრობილია ის ძველი ამბავი, თუ როგორ უდიერთ ეპყრობიან „შემოხიზნულები“ ჩვენი ისტორიის ნაშთებს ახალქალაქის, ახალციხის მაზრებში და სხვაგანაც. მაგალითათ, როგორ შლიან ქართულ ზეწარწერებს, თავისას აწერენ და სხვ. ყველა ამ ამბებს თავი მოუყარა ერთათ „ვინმე ხუცესმა“ და კორესპონდენტების სახით დასტამბა შარშან გაზ. „ივერიაში“. ამ წერილებმა მაშინვე მიიქციეს ჩვენი საზოგადოების ყურადღება. აი, სწორეთ იმ წერილებში მოყვანილ ცნობებზეა დამყარებული ბ. „ქართველის“ მეტათ საყურადღებო წერილი. შივე გაზეთმა თავ. სვიმონ წერეთლის სიტყვას გამო დასტამბა უშველდებელი სარედაქციო მეთაური წერილი, რომლის შინაარსი არ შეიძლება არ გავაცნოთ მკითხველს. აქ ბევრი საგულისხმო მოიძებნება. მაგალითათ, საინტერესოა, თუ როგორ ესმის გაზეთს აგრეთ წოდებული ეროვნული საკითხი რუსეთის სახემწიფოში? იმას სიტყვით რუსეთის ეროვნული დედა-აზრი სრულებით არ მოითხოვს რუსეთის სახემწიფოს ნაწილის—რომელიმე ერის სახის, თავისებურობის უარყოფას და შეცვლას. სახემწიფო-სათვის საქმაა, რომ სხვა და სხვა ერი სულაქრათ ენათესაებოდეს რუსეთის ერს და მასთან ერთათ იღწვოდეს „საერთო მამულის“ სასიკეთათ.

„თუ რომელიმე ერს ვამხილებთ—ამბობს გაზეთი იმიტომ კი არა, რომ იმის მკვიდრთ სამშობლო რათ უყვართ, ან სამშობლო ენაზე რათ ლაპარაკობენო, არამედ იმიტომ, რომ ზოგიერთებს, როგორც პოლონელებს მაგალითათ, სურთ თავიანთი მხარე რუსეთს ზნეობრივად და პოლიტიკურად ჩამოაშორონო“.

ასეთია სახელმძღვანელო აზრი კონსერვატორების გაზეთისა ეროვნული საკითხის გადაწყვეტის დროს რუსეთში. ამ აზრისავე მიხედვით სჯის გაზეთი იმ ხალხების შესახებ, რომელნიც კავკასიაში მოსახლეობენ. გაზეთი დიდ უსამართლობათ თელის, რომ ვინმე შეიტანოს ეჭვი ქართველებზე და მოიწადინოს იმათი უფლების შელახვა. „იმათი უფლება ისევე სულ-შეუსებელია, როგორც წინანდელი რიაზანის სამთავროს და ასტრახანის სამეფოს მკვიდრთა უფლებაო... ჩვენ სიხარულით ვეგებებით—ამბობს გაზეთი—თავად წერეთლის „პატრიოტულ პროტესტს“ და ქართველებთან ერთათ ვუერთდებით მას. ჩვენ, რუსებს, არ გვაეწყდება საქართველოს ისტორია“. გაზეთი, სხვათა შორის, შეცდომას აბრალებს „ნოვოე ერემიას“ გალაშქრებას ქართველ მოხელეების წინააღმდეგ და ფიქრობს, რომ ქართველებს და სხვა ხალხს კავკასიაში ეს გაზეთი ერთგვართ არ უყურებს. „თუ რუსეთმა დაიხსნა საქართველო—განაგრძობს იგივე გაზეთი, მან დაიხსნა საკუთარი თავის საქმე, რომელიც იმევე დროს ქართველების საქმეც არის: ჩვენ ორივეს საერთო განუყრელი საქმე გვაქვს კავკასიაში... ქართველობა ისეთი ერია, რომელსაც სრულიად უნდა ენდოს რუსეთი... საქართველო თავის ნება-ყოფილობით შეუერთდა რუსეთს და ეს უკეთესი პირობაა ჩვენი სულიერი ნათესაობისა“ და სხვა.

ასეთია აზრი კონსერვატიული მიმართულების ორგანოსი. რა თქმა უნდა, ამისთანა ნაწერის ამოკითხვა ამგვარ გავლენიან გაზეთებში მეტათ სასიხარულიათ უნდა დარჩეს ყველა ქართველს. სასურველია, მხოლოთ მოსკოვის გაზეთმა კვლავაც არ ულატოს თავის ახლათ გამოთქმულ „მრწამსს“ და ჩვენ ჰირ-ვარამზე სტამბოს წერილები..

ბევრი იმისთანა საშუალებბაა, რომელიც სხვაგან შეიძლება განათლების სახსრადაც იყვეს აღსარებულთ, მაგრამ ჩვენში თუ გადმოვინერგავთ, სიავის მეტს არაფერს დაგვაყრის. იმიტომ დიდი სიფრთხილვა საჭიროა, რომ ამგვარი რამ არ შემოგვეპაროს, თვარა, შეიძლება, სასიკეთო საქმის მაგიერ უკუღმართს შეეწყუროთ ხელი. აი, მაგალითათ, აგრეთ წოდებული ნორმალური შკოლები! ვინ არ იცის, რომ ამგვარ-

რი შკოლის გახსნა სასიხარულო ამბავს შეადგენს რუსეთის სხვა-და-სხვა ალაგას და ადგილობრივი ცხოვრების მეთვალყურეც აღნიშნავს ხოლმე, როგორც ერთ საუკეთესო მოვლენას ქალაქის, თუ სოფლის ცხოვრებაში. ჩვენში კი მეტათ უსიამოვნოთ უნდა დარჩეს ასეთი ამბავი—ამა-და-ამ სოფელში ერთ-კლასიანი სასოფლო შკოლა ნორმალურათ გადააკეთეს—ყველა იმას, ვისაც გაცნობილი აქვს ამ შკოლების სამოსწავლო გეგმა. ამავე საგანს აქცევს ყურადღებას ბ. „ნაცნობი“ „მოამბის“ ნოემბრის ნომერში. ავტორი ვრცლათ არ არჩევს გეგმას ხსენებული სახის შკოლისას, ის აღნიშნავს მხოლოდ, რომ ამ სასწავლებლის გეგმიდან სრულიად განდევნილია სამშობლო ენაზე წერა-კითხვის სწავლება. რა თქმა უნდა, რომ ამ პედაგოგის წინააღმდეგ პრინციპზე დამყარებული შკოლა ენების მეტს არას მოგვიტანს და, მხოლოდ, გონების დასახიჩრების ხელის შემწყობი იქნება. „ნაცნობთან“ ერთათ უნდა აღვიხაროთ, რომ ეს ნამდვილი „ტეინის გამოწყალბელი“ საშუალებაა და არა განათლების შემძენი. ბ. „ნაცნობი“ ჰკიცხავს „ივერიის“ კორესპონდენტს, რომელიც სიხარულს აცხადებს რაჭის ერთ-ერთ სოფელში ნორმალური შკოლის დაარსების გამო. რასაკვირველია, ბ. კორესპონდენტს არ ევატივება ამისთანა უცოდინარობა, მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საკორესპონდენტო საქმე ჩვენს რედაქციებს სრულიად მოწყობილი არა აქვს სხვა-და-სხვა მიზეზების გამო და ხშირათ უფრო შემთხვევით ეგზავნება ქართულ გაზეთებს სხვა-და-სხვა ამბები და ამიტომ შეიძლება კორესპონდენტთა რიცხვში ბევრი უფიციც გამოერიოს,—მაშინ ყველა დაგვეთანხმება ბრალი ჩვენ, გაზეთის ხელმძღვანელთ, გვედება, როგორც, მაგალითათ, ამ შემთხვევაში დამნაშავეთ უფრო „ივერიის“ რედაქცია მოგვაჩნია. ნუ თუ პატივცემულმა რედაქციამ არ იცის, რომ ამგვარი შკოლები სრულებით გამოუსადეგარია ჩვენთვის?!.. სამწუხაროთ, „ივერიას“ არა ერთხელ უცნობებია თავის მკითხველებისათვის ამისთანა „სასიხარულო“ ამბავი. ჩვენ კარგათ ვეახსოვს „ივერიისადმი“ საყვედური, რომელიც უკვე გამოთქმული იყო ჩვენს მწერლობაში ამ რამდენიმე წლის წინათ. ჩვენ იმ აზრისა ვართ, რომ ერთ-კლასიანი შკოლა უფრო სახიერო უნდა იყოს ჩვენთვის. მაგრამ ყველაზე უკეთესი იქნება, თუ სამრევლო შკოლებს დავაარსებთ. როგორც ჩვენ მკითხველს ეხსომება ბ. კალ. მახელიძის ნაწერში კარგათ იყო გარკვეული, თუ რამდენათ უფრო სასარგებლოა ჩვენთვის სამრევლო შკოლა, ვიდრე საერთო. (იხ. „კვალი“ 1893 წ. № 16) რაკი განათლების სხვა-და-სხვა საშუალებაზე ჩამო-

ვადგეთ ლაპარაკი უსათუოთ ორიოდ სიტყვა უნდა ეთქვათ ერთ მივიწყებულ საგანზედაც. ჩვენ ვამბობთ აგრეთ წოდებულ საკვირაო შკოლებზე. ეს საშუალება მეტათ იეუთ ჯდება და არც დიდ შრომასა და ღირს თხოულობს, სარგებლობა კი საკმაო მოაქვს. აქაური საქალბო საკვირაო შკოლის ცნობებიდან ჩანს, რომ საკვირაო შკოლაც უმნიშვნელო არ ყოფილა. სამწუხაროთ მხოლოდ ქალები მოღვაწეობენ ამ სარბიელზე, მამა-კაცები კი ცოტა ვანზე გაუბიან ამ საშუალებას. ჩვენ ვეახსოვს თბილისის სათავადაზნაურო შკოლის მასწავლებელთ შორის არა-ერთხელ აღძრულა ამის შესახებ ლაპარაკი, მაგრამ საქმე მაინც არ განხორციელებულა. ახლა საჭიროა ამაზე ვიზრუნოთ. ჩვენი აზრით შემდეგი გზა უფრო ღირსია არჩევისა. ყველამ უწყის, რომ სამღვდლოებას ნება აქვს საკვირაო შკოლები გახსნას. რა თქმა უნდა, ამ წოდებას უფრო შეუძლია ამ საქმეში თვა გამოიჩინოს და, რაც შეიძლება მეტი, ამგვარი შკოლები გახსნას ქალაქებსა და სოფლებში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ბევრი საერთო პირიც დაეხმარება მათ, საჭიროა, მხოლოდ, თავონობა გამოიჩინონ სულიერმა მამებმა. იმედს არ ეკარავთ, რომ ეს ადვილათ განსახორციელებელი საქმე უყურადღებოთ არ იქნება დატოვებული სამღვდლო პირებისაგან.

—


„ივერიის“ ამ წლის მეცამეტე ნომერში საოცარი მოწინავე წერილია დასტამბული. ავტორი ურჩევს ჩვენი საშინაო საქმეების მმართველებს „საქთო კრება“ მოახდინონ ხოლმე, როცა ისეთი რთული საგანი იქნება გადასაწყვეტათ წარმოდგენილი, როგორიც იყო მაგალითათ გიმნაზიის დაარსების საქმე. ბ.—ლი გ-ს, რომელსაც ეკუთვნის ეს წერილი, ჰგონია, რომ ამგვარი „საერთო კრება“ უფრო დასაბუთებულ და ყოველი მხრით შემზადებულ აზრს წარმოადგენს საზოგადოებას და ესეც ადვილათ გადასწყვეტს საკამათო საგანს, რაკი საჭირო მასალა ხელში ექნება. ავტორი ცდილობს თავის აზრის სამართლიანობა სხვა-და-სხვა საბუთებით დაამტკიცოს, მაგრამ მკითხველი მაინც და მაინც მის წერილიდან იმას დასკვნის, რომ ამგვარი „დაწესებულება“ სრულებით ზედმეტი იქნება და არაფერს შეგვძენს. საქმე ის არის, რომ ახალგაზდა პუბლიცისტს დავიწყებია, რომ სხვა-და-სხვა დაწესებულების არსებობა დამყარებულია შრომის განაწილების საფუძველზე, ყველას მიუკებული აქვს თავ-თავისი საქმე, მაშასადამე ავტორის სურვილი—ყოველი საგანი, რომელიც წარმოდგენილი იქნება რომელსამე მათგანში, ყველამ საქთოთ განიხილოს ხოლმე—ვერა გზით

ვერ ასრულდება. ამას თითქოს თვითონ ავტორიც გრძნობს, რადგანაც თავის მეთაურის მეორე ადგილს ამბობს, რომ „თვითთვეულ ჩვენ დაწესებულებას უძნელდება თავის საკუთარი საქმის წარმართვაო“. ეგონებთ ახლა თვით ავტორიც დაგვეთანხმება, რომ აქ აზრთა წინააღმდეგობაა. ჩვენი აზრით ის წესი, რომელიც ყველგან არსებობს, უფრო შეეფერება ჩვენს საზოგადო ცხოვრებასაც. ყველგან მიღებულია, რადგანაც რომელიმე პრინციპიალური საკითხი აღიძვრება, საზოგადო კრება ირჩევს ცალკე კომისიას, რომელსაც ავალბებს საგნის ყოველი მხრით გამოკვლევას. ასე მოიქცა საშკალო საზოგადოების კრებაც, როცა კომისია აირჩია. ამგვარი წესი მით უფრო სამჯობინარია, რომ კრება ირჩევს იმისთანა პირებს, რომელნიც რთული საგნის შესაფერი ცოდნით და გამოცდილებით არიან შეჭურვილნი. ასე შედგენილ კომისიას უფრო მეტი ავტორიტეტი აქვს, ვიდრე არსებული სხვა და სხვა დაწესებულების მმართველების „საერთო კრებას“, რადგანაც ადვილათ შეიძლება მმართველები იმ სპეციალურ ცოდნას იყვენ მოკლებულნი, რომელიც საჭიროა წარმოადგენილი საკითხის გადასაწყვეტათ. ბ.-ლი გ.-ის წესი ჩვენი საზოგადო კრების უფლების შეზღუდვას

მოასწავებს, რაიც სრულიად სასურველი არ არის. საზოგადო კრებას არ უნდა დაუყარვით მისი დიდი მნიშვნელობა, მან ფართოთ უნდა მოიხმაროს თვისი უფლება და რაც შეიძლება მეტ პარს მიაღებოს მონაწილეობა საზოგადო საქმეების მართვა-განხილებაში.

რაც შეეხება მას, რომ რომელიმე გადაწყვეტილი საკითხი სისრულეში მოვიყვანოთ — ეს ხომ საბანკო და სათავად-აზნაურო კრების კომპეტენციაა. აქ ბანკის გამგეობა ან სათავად-აზნაურო მამულების გამგე კომისია რა შუაშია?!., ესენი მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოები არიან. თუ გვიხსენებთ იმასაც, რომ თითქმის ყოველი ჩვენი საზოგადო კრება ერთი და იგივე სახისაა, მაშინ ხომ უფრო დავრწმუნდებით, რომ არსებული წესის შეცვლა სრულიად უნაყოფო იქნება და შეუფერებელი. საქმე ის არის, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ყოველთვის და ყველგან უნდა გვეკონდეს „სპეტაკი გული და სული წმინდა“. აი, რა არის საჭირო და თუ ეს გვაქვს, მაშინ, ხომ, ბ. — ლი გ.-ის შიშს — „ჩვენი ორგანოები ერთმანეთის მოკმეღვებას აფერხებენ და უშლიან“ — ადგილი არ ექნება...

გრ. ოლიჟე.



ე შ მ ა კ ი ს წ ყ ა რ ო .

(ქიტუას მოჩვენება)



შმაკის წყაროს პირზედა
გულ-ჩავარდნილი ღელეა,
იმის იქითა და აქეთ

მოდის ჩალა და ლელეა.
იქა ბუნაგობს უთვლელი
მგელი, კურდღელი, მელია.
იქ ბუდობს ზამთარ-ზაფხულით
შავი ბაყაყი — ჭერია;
იმ ოხერ ნისკარტს დაათრევს,
ნახევარ ადღზე გძელია,
ნაძეს სარივით ფეხებო,
ერთი იმდენი ყელია.
რაკი მინდორში ბალახი
გახმება, — შენი მტერაა,
ველარას მოსძოვს ნახირო.
სადაც კი მწვანე ლელია,
ან ქაობა, ლიები,
გაუტყნავი ლელია,

იქ გავირეკავთ, მუცელსა
იქ იძობს საქონელია.
ღამის ხარებიც იქა ძოვს,
ადვილი მოსაველია,
ნერგი დგა, ფშატი, ტირიფსაც
დაუზნეკია წელია;
ბევრი ხელიკია, ბაყაყი,
ბევრი წყელი გველია.
ხან და ხან ბალახს აგვიშლის
თვალ-სისხლიანი მგელია,
დააღრიალებს მოზვერსა,
თუ სადმე დაიხელია.

* *

ღელეს იქიდან გზა არას,
გზას იქით დიდი ეელია,
იქით ლიახვი მოქშუის,
გაჭიყვებია ცენია.
გაზაფხულს წამოშხუელდება,
რო კუპრიელის გენია,
მოიზღანაზება შავადა,
თან მოაქვს მთა და ეელია.
რამდენი ცოდო უქნია,

იმ ვერანს, არა რცხვენია.
 ადგილ-ადგილას გუბე დვას,
 ჯოჯოხეთით ბნელოა,
 ორი სამრეკლო ჩაუშვა, —
 არ დაუჩნდებათ წვერია.
 ოსებში ჩამოუვლია,
 გულებით მოაქვს ყველია,
 ცხინვალელ სომხებისათვის
 გამოუტრია ყელია.

* *

ერთხელ გავრეკე ხარები,
 გუთნიდან გამოშვებული,
 იქვე წყაროზე მიერეკე,
 წყურვილით გაგვშებული;
 წყალი დალიეს, ბალახსა
 მოედვენ გაცოფებული.
 მეც ჩაეჩოქე მთელი ღღე
 ნატანჯი, დაოსებული.
 ეენაცვა იმათ გაჩენსა,
 მალე აიესეს ფერდები,
 როგორც მიკიტნის რუმბები,
 ისე გაუხდათ გვერდები;
 უმადოთ ილოღნებიან,
 აუშვერით ქედები.
 თან მოატანა ღამემა,
 დაბნელდა მთების ქედები.
 ტოროლა აღარ იძახის,
 მერცხალმაც დაიბინაეა,
 მოჰბერა გრილმა სიომა,
 მინდორმა გაინიაეა;
 მწყერმა შორეულ ყანაში
 „ქვიტირო“ გაახშიაეა,
 ბულბულმა ეენახ-ბაღებში
 დასტეინა, დააზრიალა.
 კოტმა დაიწყო ძახილი
 ბატონაანთ კოშკშია,
 ოფოფი ნაწყვეტ ნაწყვეტათ
 ხმაურობს ნერვის ღრუეშია;
 ნიაეი — რწეეა მეგონა,
 ნანინათ ჩამწედა გულშია.

* *

მძინაეს გულ-დადინჯებულსა,
 ხარებიც იცოხნებიან;
 ბნელდება, ღრუბლებს უკანა
 ეარსკვლავნი ემაღებიან.
 რალაც ბურანში ევხევი
 სიზმრები სიზმრებს ებმან.
 უცებ მომესმა ფეხის ხმა, —
 რალაცა დაიარება;

ვიღვიძებ, ვეიქრობ რა არის,
 ვერ ვხედაე, თეალი ამება.
 ეთქვი: „ჩემი ლომა კამეჩი
 ნამდილოთ გაიბარება!“

ყური დავუგდე, ფეხის ხმა
 ჩალიანისკენ ისმოდა,
 აბრიალებდა ბალახსა,
 გაჩქარებული მიროდა,
 მეც წამოვეარდი ერთ წამსა,
 სანამ ეს სიტყეა ითქმოდა.

შევეხელო, ჩემი კამეჩი
 წინ მიღის გაშურებული,
 ეეძახი: „ლომაე, დაბრუნდი,
 რათა ხარ ახირებული!“
 არ ესმის! ჩალა-ღერწამი
 მიმაღაეს აყვირებული.

* *

მეც მოეუმატე რბენსა,
 გადაეხტი როგორც მცელია;
 მიერბიეარ უგზო-უკელიოთა,
 გაბმული ჩალა-ლეღია
 არ მიშეებს, მუხლი მექრება,
 ძალ-ღონე გამომელია!

თეალი მოეაბი, კამეჩი
 ამოეფარა ჩალასა,
 მინდა გადაეხტე, მუხლები
 დამიდგა, ეატან ძალასა.
 ეთქვი, აეებ აქეთ ვუყელო,
 სანამ მოეებმის ჭალასა.

ეხედაე ჩემ წინ დეა კამეჩი,
 აღარ წასულა, დამდგარა,
 ნეტა რა ღმერთმა მიშეეღა,
 რა სასწაული მომხდარა.
 ეთქვი, ეეღარ სადმე წამიეა,
 ახლა კი ღმერთმა მიშეეღა,
 ეავრამ თეალის წინ გამიქრა,
 როგორც ეშმაკი ტიტეეღა.

გარბის, მეც მიედეე. სად მირბი,
 მობრუნდი, ოხერ-ტალო!
 ნეტევი გადაიჩეხო,
 კლდე სადმე შეეხედეს ფრიალო,
 ან თოფი მომცა რომ მანდეე
 ჩაეჩეხო, დეეღარიელო!

შენე, ამ ზანტმა კამეჩმა
 ფრინეეღის ფრთები შეისხა,
 ისე დამშორდა, მეგონა,
 აღარ ესმოდა ჩემი ხმა.
 ღამის მეხრე ეარ, ქებული,
 ტოლი ვერ დამეღარება,

როგორც მუქაში ხარები
მყავს, ვერსად გამებარება;
ნეტა შენ სადღა წამიხვეალ,
რა ქაჯი დაგეფარება.

* *

კაი ალაჯი გამოეცლი
ხარების საყარ ბინასა,
ერთ წამია ხანს მოვადექ
ნაპირზე დამბალ ლიასა,
ამ ლიას ძირი არა აქვს,
ლოურჯია როგორც ლაქვარდი,
შიგა ბუდობენ ალები,
წყეულებს გააქვს ნავარი.
ბევრი ჩაღრჩეს მის ძირში,
მარჯვეთ ესროლეს ქამანდი.
თურმე რა ნათლის კარები
ზეცაზე დაიხურება,
მთვარე გადმოვა შუა ცას.
ლიაში ჩაიყურება,
ლია შედება, კუპრივით
უკუნით დაიბურება.

მერე ნიაიცი დაჰბერავს,
ლერწაში დაიკეცება,
შეიძვრის წყალი, შხაპუნით
ბალახზე გადიწვეთება,
უჩინოთ სული წყეული
იმ ცერებში ვაიბანება,
სახეს მიიღებს და იქვე
ჩალაში დაიმალება.

თუ მწყემსი ნახა, ცხვარივით
მორთავს საბრალოთ ბღაილსა,
ხან ძალლივით ჰყევს, კნუტივით
დაიწყებს მერე კნაილსა.
ან ხარათ გადაიქცევა,
კამეხათ მოეჩვენება,
წინ წაუძღვება, ლიისკენ
მიურბის, მიეჩქარება!
ვაი შენს ღუშმანს, თუ მეხრე
მის თვალთმაქცობას აჰყვება,
თან ჩაიყოლებს ლიაში,
ეშმაკის კერძი გახდება.

* *

შეეხედე, ლია რისგანდაც
ცეცხლივით გაჩაღებულა,
ეს ჩემი ლომა კამეჩი
ლიაზე წაყუდებულა,
თავს მოიბრუნებს ჩემკენა,
კულს აქნევს, გაყუჩებულა.
ეუახლოვდები, ლომაა,

ლომაა—ჩემი კამეჩი.
რა ეუყო, ვფიქრობ, მაგ ვერანს,
ამ შეე ჯოჯოხეთ ღამეში.
წინ ვერ ეუყილებ, მორევი
უცილოთ ჩაილულები,
ზე შეეხეთქო, ლიაში
გადახტეს—დაილულები.

რას ვიზამ, ნელა-ნელათა
თითის წვერებზე მიეცოცავ,
თან ვევედრები უფალსა,
წმიდა გიორგის ეილოცავ.
მიველ და მიველ, თან სახრით
აქეთკენ მოვერკევი.
მე არ მოგიკედე, ლიისკენ
კადარშვირა ფეხები,
ჩქაფა მოილო, წყლის პირზე
განათდა ცეცხლის სვეტები.
მეც შევეღრიალე: „ვაი მე
დაგკარგე, ჩემო ლომაო,
უშენოთ როგორ ვიცხოვრო,
რალა ექნა საბრალომაო!“
ვაეკველა, ერთი ფიქრითა,
კინამ მივეყე წყალშია,
გულმა დამიწყო ტირილი,
ცრემლი მოკუბდა თვალშია.
ყური დაეუგდე, ლიიდან
მომესმა ჩქეფა, ჩქრიალი,
თანაც ღრიალებს რალაცა,
ყელში დაიწყო ხრიალი.
თმა ამეშალა, ყურებში
მიბრუსის, უდგა შრიალი.
გადავიწერე პირჯვარი,
ვახსენე ქრისტე ჯვარცმული.
ნამღვილათ წყეული იყო,
შეჩვენებული მაცდური.
ვერც კი გივიგე, თუ როგორ
მოებრუნდი, გამოვეჩქარე,
ერთ საათს მოველ სირბილით,
სადაც ხარები დავყარე.
დიდება შენთვის, უფალო!
შევეცქერი გაკვირებულნი:
ის ჩემი ლომა კამეჩი
აქ კი წვეს გათქვირებული;
ძილშია, ფშინავს მიწაზე
რქები აქვს დახირებული.
რა ქაჯი დამაძინებდა!
ჩამოვეუარე, დაეთვალე.
ცაც შემონათლდა, ბალახზე
ხარი საძოვრათ გაეშალე.

თ. წაზიკაშვილი.

ქალები არიან დამნაშავენი თუ კაცები?



რისტეშობის თვის „მოამბეში“ დასტამბულია საყურადღებო წერილი ბ. ს.—ლისა: „კერძო თაოსნობა და ჩვენი ქალები“. პატივცემული ავტორი იგონებს სახელ-განთქმულ ძველებურ ქართველ ქალებს და სევდიანათ გულ-ნატკენათ კითხულობს: „ჩა ვთქვით ესლანდელებზე?.. წაძმადგენან კი გიძნელებს იმისი, რომ დღევანდელი წანტი, უმოქმედო და სასოგადო ინტერესებს მოკლებული ქართველი ქალი უწინდელ ენკერიით და სიცოცხლით საკსე ქალისაგან წარმოსდგას. დააკვირდით ჩვენს ცნობებს, აიღეთ რომელიც გინდათ სასოგადო საქმი, —ასლად ქალის ქაჯანება ან ანის. სან და-სან ასე გგონია, ჩვენი ქალები ანც კი ანსებობენ ქვეყანაზე. მიბძნეთ, რაში სჩანს მათი სიცოცხლე? რომელი საქმი ამუღანებს მათს ქვეყნად ანსებობას?.. მიბძნეთ, რას აკეთებენ ჩვენი ქალები, რა ანს, რა იდეალს ემსახურებიან? აქ ანგარიშიში მოსატანს ან ანის თითო-ორიდა მოღვაწე ქალი. მე მოგასსენებთ განათლებულ ქალების უმრავლეს ნაწილზე... რამდენი საკვირაო ან სლდამურე შეკლებია მათის თაოსნობით ჩვენში დასსეული? რამდენი ასი ათასი წიგნია მათგან ნათარგმნი, გადმოკეთებული, ან შედგინილი და სლსში გაკრეფებული? სლ ან რომელ ადგილს უკეთესავენ ისინი უმეტარ სლსს სასარგებლო წიგნებს?..“

ოლონდაც რომ სამწუხაროა აღნიშნული გარემოება, ქვეშარტათ სადარლოთ, საეალლოთ და სავარამოთ უნდა მიიწიოს ყოველმა შეგნებულმა, გონება სლდმა ადამიანმა, რომ ჩვენი ქალის არსებობის სლნდიც კი არ ჩანს სამშობლო ქვეყნის აწინდელ საზოგადო ცხოვრების მიმდინარეობაში; რომ ქართველ ქალს, ოდესმე ცნობილს მწიგნობრობის სიყვარულით, ღღეს ვერ უთავებია დასაწყისი სასწავლებლის გახსნა, ვერ მოუხერხებია უბრალო შინაარსის წიგნაკის გამოცემა, დაუკარგავს უნარი ხალხთან სამო და სასარგებლო საუბრობისა, რჩევისა და დარიგებისა. მაგრამ ერთი ესეც ვიკითხოთ, რომელი ლოლიკური საბუთის ძალით ვთხოვთ ამ გვარ საქმეებს ჩვენ ქალებს? ვინ მოგეცა ზნეობრივი ნება მოეთხოვოთ ახლანდელ განათლებულ ქართველ ქალს მამულის გულ-შემატკიერობა, სამშობლო ერის კეთილ-ღღეობაზე ზრუნვა და შრომა, დღე-ენის ერთგულება, მშობელ ერში მშობელ ენაზე სწავლა-განათლების მოფენა? დიახ, იქნება ამ გვარი მსჯელობა გვეუცხოვოთ, ან როგორც გურულები იტყვიან „გეტოშოთ“ კიდეც, მაგრამ მე კი ის „მეტოშებ“, რომ ესლანდელ ქართველ ქალს მამა-

კაცები მოთხოვენ იმგვარ შრომა-მოღვაწეობას, რა გვარი შრომა-მოღვაწეობის აღზრდა ქალში სიზმრათაც არ ჩვენებია აწინდელ ოჯახს, საზოგადოებას და სასწავლებლს. რათ გეკვირს, რომ ძველი დროის ქალებმა შეწიერათ იცოდენ სამშობლო ენა და მწიგნობრობა? ერთი მიბძნეთ, მამ სხვა რომელი ენა და მწიგნობრობა-ლა უნდა ცოდნოდოთ, როდესაც ოჯახშიც, ეკლესიაშიც, სასწავლებელშიც, სასამართლოშიც, სოფელშიც, ქალაქშიც, ერთი სიტყვით მთლათ საქართველოში მეფობდა ქართული ენა? განა წარმოსადგენი და საფიქრებელია, რომ იმ დროს, როდესაც ქართველი ერის საკუთარი პოლიტიკური და გონებრივი სიცოცხლე ღულდა და გადმოდირდა, როდესაც ქართული კულტურის ბრწყინვალე სხივი აცხოველებდა მოსაზღვრე ერთაც, როდესაც ქართველები ქართველობდენ და მათნი „მეფენი მეფობდენ“, ქართველი ქალი ყოფილიყო მოღუნებული და გაზანტებული, გონება დაზშული და გაუდაბურებული, ლეჩაქ მოხდილი და გაქსუბუბლი! პოლიტიკური თვით —არსებობის დროს ფხიზლობდა, მხნეობდა, გამჭირაობდა ვაქ-კაცი და მხოლოთ ამევე თვისებებით შემკულ ქალს უთმობდა იგი თავის მწევე გულს. ძველებურ ვაქებს სასიქადულოთ მიანდათ სამშობლო ენის ზედმიწევნით ცოდნა, გამოჩენილი მწიგნობრობის სახელის მოხვეჭა. რა აღჩუს დაუჯდებოდოთ კოჭი მაშინდელ მანდილოსნებს, რომ არ გაჯიბრებოდენ კაცებს წიგნის ცოდნაში? მამა-კაცის სათაყვანოს შეადგენდა სამშობლო ქვეყანა, მოამეთა კეთილ-ღღეობაზე ზრუნვა და ფიქრი და მეტი რა ჩარა ჰქონდა იმ დროის ქალს, რომ თითონაც არ შეეყვარებია ყველაფერი ეს, თუ სურდა საქმროს შოგენა და ქვეყანაში ცხოვრება? ქვეშარტათ სახელოვანი იყვენ ძველი დროის ქართველი ქალები, მაგრამ მათი სილიადე, ღირსება და სიკეთე თუ მთლათ არა, უმთავრესათ მაინც წარმოდგენდა მამა-კაცთა სილიადის, ღირსების და სიკეთის გამოხმობას, ეხო. ქალი იყო, არის და იქნება ისეთი ზრსება, რომელიც მამა-კაცის მიმყოლი და მისი მიბძძველია, და, თუ იგი ღღეს უჩინარი და მივიწყებულია, ეს ამის გამო, რომ ჩვენ თითონ მიგვივიწყებია იგი, ჩვენ თითონ გადაგვიგლია იგი გულიდან.

ძველი დროის ქართველ მამა-კაცს ძეალ-რბილში ჰქონდა გამჯდარი სამშობლო ენის სიყვარული, მწიგნობრობის ლტოლვილება, თავისი ერის საზოგადო წარმატება — ბედნიერების წრფელი სურვილი და ამასავე ეძებდა, ამასავე აფასებდა იგი ცოლშიც; ანუ იმ ღირსეულ, საყვარელ და ძვირფას ქმნილებაში, რომელსაც პირველმა მამა-კაცმა უწოდა „ძეალი

ძვალთა და ხორცი ხორცთა თვისთავანი“. ცოლი კიდევ თავის მხრივ იმ მიზეზის გამო, რომ ფსინიურათ დანერგული აქვს მას „ქმრისა მიმართ თვისისა მიქცევა“, საესებით ეთანხმებოდა ქმრის იდეალს, მის საზოგადო მისწრაფებას, სულიერ მდრეკილებას და ცდილობდა, რომ არამც თუ მარტო თითონ ჰყვარებოდა ყველაფერი ის, რაც მოწონდა და ამოქმედებდა იმის ქმარს, შეილებსაც ტკბილ რძესთან ერთათ აწოვებდა მასვე, აკვანშივე აგონებდა მათ „ქართველთა გმირთ ლეთიურს ვალს“. „ქმრისადმი მიქცევის“ ძალით მოქმედებს დღესაც ქართველი ქალი. ქართველ კაცს უცხო ენა გაუმეფებია დღეს ოჯახში და ამის გამო მისი ცოლიც მარტო ამ ენაში ვარჯიშობს; ქმარი უცხო ენაზე წერს და კითხულობს, ცოლსაც მარტო უცხოელების მწერლობისაკენ აქვს სული და გული. ქმარი ლოგინშიაც არ იშორებს უცხო ენაზე დაწერილ წიგნებს, ცოლსაც ამის გამო ფას-დაუდებლათ მიაჩნია მხოლოდ უცხო ტომთა გონების ნამოქმედარი და სამშობლო მწერლობის შესწავლას რაცხს ცუდ-უბრალდოთ დროების დაკარგვათ, უაზრო და უსარგებლო შრომათ. რამდენი ნასწავლი ქართველი კაცია, მაგალითათ, ქალაქ თბილისში, რომელნიც სრულებით არ ხმარობს ოჯახობაში ქართულ ენას, არ მისდევენ ქართულ მწიგნობრობას და აზრსაც არ ალებინებენ თავიანთ შეილებს, რომ ქვეყნიერობაზე ქართული მწერლობაც არსებობს. საჭიროება რომ თხოულობდეს, შეგვეძლო მაგალითებიც მოგვეყვანა, მაგრამ განა ვისთვისმე საჭიროა ჩვენება და მითითება? განა ამგვარ მაგალითებს ცოტას ეხედეთ მუდამ დღე? აბა, ბატონო, მიბძანეთ, რა ღონის ძიებით შეუძლია ქართული წერა-კითხვის გავრცელება, წიგნების შედგენა და ხალხთან ბაასი იმ ქალს, რომელსაც გულ-შემბატყივარი მამის მზრუნველობის გამო ყურაც არ მოუტრავს სამშობლო ენაზე დინჯი საუბრისათვის, ერთი ქართული ასოც არ მოუხაზავს რეულში, თვალითაც არ დაუნახავს ქართულათ დასტამბული წიგნი? ვინ მოგეცა ჩვენ ზნეობრივი უფლება ვუსაყვედუროთ არა ქართველობა იმ საბრალო ქალებს, რომლებსაც ასე უღერათ, ხელალებით და გავიქებით ვამხანჯვებთ ყოველმხრივ? განა აწინდელი ქართველი ქალი ენის ცოდნის მხრივ ძველი დროის ქართველი ქალის პარობებში იმყოფება? განა ჩვენ, მამა-კაცები მალა ვაფასებთ სამშობლო ენის ცოდნას, მშობელი ლიტერატურის შეთვისებას, ხალხისნობის თვისებათა შეგნებას, მოგვარეთა კეთილ-დღეობას და ძველებურათ თავდადებით მოწადინებული ვართ, რომ ყველაფერი ეს ამკობდეს ჩვენ დედებს, დებს, ცოლებს და ქალი-

შეალებს? ან იქნება სამშობლო ენის ცოდნა და საზოგადო მოღვაწეობა მოეთხოვება ქალს მარტო იმ საბუთის ძალით, რომ იგი ქალია?

არა, ადამიანი, ქალია თუ ვაჟი, თავისი გონებრივი და სულიერი არსებით წარმოადგენს იმ ზეგავლენის უმეტ-ნაკლებო ნასკეს, რომელსაც იქონიებს ხოლმე მასე ოჯახი, საზოგადოება და სასწავლებელი. ახლანდელი ქართული ოჯახიდან სრულებით გამოძევებულია ქართული უბნობა, ქართული წერა-კითხვა, ხალხისნობრივი მიდრეკილება; საზოგადოება შებლალული და აღერეულია ათასგვარ მოუთავსებელი ელემენტებით, სასწავლებელს ფიქრათაც არა აქვს შეძინოს ქართველ მოსწავლე ქალს სამშობლო ენის ცოდნა, აულორძინოს მამულის სიყვარული, გაუმტკიცოს ხალხში მოღვაწეობის ხალისი და, რა სამართალია, აწინდელი ქართველი ქალი ამოვუყენოთ გვერდს ძველი დროის ქართველ ქალს და ვუსაყვედუროთ პირველს სიზანტე, უმოქმედობა, საზოგადო ინტერესების არქონა?

ვერ შეგვიგნია აგრეთვე, რა მოსაზრებით მოჰყავს ბ. ს—ლს ცნობილი რუსის მწერლის აბრამოვის წერილი შესახებ რუსთა ქალების საზოგადოებრივი მოღვაწეობისა. რა შედარებაა გიმნიზიაში კურს-დამთავრებულ რუსს და ქართველ ქალთა შორის? იმ დროს, როდესაც პირველი, მოსამზადებელ კლასიდან მოკიდებული სწავლის დამთავრებამდე, საუბრობს, კითხულობს, თხზავს და მსჯელობს სამშობლო ენაზე, როდესაც ზედმიწევნით ითვისებს მშობელი ერის ისტორიას, მეტყველებას, ზნე-ხასიათს, სამშობლო ქვეყნის ბუნებას და გეოგრაფიას, ქართველი ქალი მოკლებულია ყველაფერ ამას და გამოდის გიმნიზიიდან ისეთივე სრული უფიცა თავისი ქვეყნის წარსულისა და აწმყოსი, როგორც იყო იგი სწავლის დაწყებამდის. ძალიან საოცარი და აუხსნელი იქნება, რომ რუსის განათლებულმა ქალმა არ იმოქმედოს იმ გვარათ, როგორც ასწერს ბ. აბრამოვი, ქართველ ქალს კი მსგავსი მოქმედება უნდა ჩაეთვალოს ნამდვილ სასწაულათ და სასწაულთ-მოქმედნი ხომ მუდამ მკირდენი ყოფილან.

მე სრულებითაც არა ვარ ქალთა მოთაყენე და მოსარჩლე, ძალიანაც გულის მიწყლავს მათი აწინდელი უფერულობა, გონებრივი არაზოობა, ზნეობრივი გაჟიჟმაცტება და სხვ., მაგრამ ყველაფერ ამაში, ვგონებ, დანაშაული მივიძიღვის უფრო მამა-კაცებს და არა ქალებს. აბა, თითონ მამა-კაცებმა შევიყვაროთ ქართველობა, როგორც რიგი და წესი, ე. ი. ისევე სამშობლო ენა და დამკვიდროთ ოჯახში, შევიმოკოთ ყველამ სახლი ქართული ნაწერებით, საუბრებით და ვავინალოთ ქართული ქუჩისა-ღა-

ზეთების გამოწერა, მათზე ხშირი ბაასი და მსჯელობა. მოეთხოვოთ ოჯახის დედას, რომ მან თავის ქალიშვილს „ნივას“ მაგიერათ აკითხოს ქართული გამოცემანი, ზოლას რომანების ბადალთ ვააკნოს სამშობლო მწერალთა ნამოქმედარი. მივეწველოთ ჩვენც ჩვენს მოსწავლე ქალიშვილებს და, ისინი რომ გულ-მოადგინეთ ზეპირობენ ჰენრიხებისა, ლიუდოვიკებისა, ვიანესლავეებისა, სეიტაპოლკებისა და სხვების სახელებს, ეუამბოთ ეინ იყვენ ფარნაოზი, მირიანი, წ. ნინო, გორგასლანი, დავით-აღმაშენებელი, თამარი და სხვები. აბა, ავასრულოთ ყველაფერი ეს, თუ ჩვენმა ქალმა არ იცვალოს ფერი, თუ იგი ჩამორჩეს უკან საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზე

განეთარებულ ერთა ქალს, თუ არ მოისპოს სრულეებით ის გაუფალი უფსკრული, რომელიც ვაჰყოფს ახლანდელ ქარველ ქალს ძველი ღროის ქალისაგან. დღეს კი, რადგან თითონ კაცებს აგრე რიგათ გული არ გვერჩის საზოგადო სამშობლო საქმისათვის, რადგანაც ბევრათ არაფრათ ვთვლით ქართული წიგნების შეძენას საოჯახოთ, მომეტებული ნაწილი არ ეიწერთ და არ ეკითხულობთ ქართულ ჟურნალ-გაზეთობას, არც საბუთი გვაქვს, ჩემი შეგნდულობით, მოეთხოვოთ ჩვენ ქალებს სამშობლო ენის ცოდნა, ქართული წერა-კითხვის გავრცელება, წიგნაკების თხზვა და ხალხთან საუბრების მართვა.
ნსოკეთელი.

სტიქიონის ძლიერება.

(წყაღ-დიდობის მოგონება)



კითხველო, თუ მდინარე ჩხერიმელის ნაპირზე გიმოგზაურია ფენით, ან ცხენით და ან რკინის გზით, რომელიც ლიხის მთის ვადალმა ჩხერიმელის და ყვირილის ნაპირებზე მიიკლავნება რამოდენიმე ვერსტის მანძილზე, ნება გეობოძე დაგვიტონოთ: მიუპყრია თუ არა თქვენი ყურადღება ჩხერიმელას და დავიგდიათ თუ არა ოდესმე ყური ამ მდინარის წყნარი და სევდიანი ბუტბუტისათვის, ან მოდიდებული მისი მრისხანე ზვირთების მუქარისათვის? —მართალია, მდინარე უტყვია, მაგრამ გონიერი ადამიანი, თუ მოინდომებს, მიხედება, გაიგებს უტყვი არსების გულის პასუხს, ჩივილს და კმაყოფილებას. რა სევედა აწვა გულზე, რა აწუხებდა ჩხერიმელას და მის თანა-მომძე ძირულას და ყვირილას, ან რა ჰქონდათ საჩივარი და სადრტენიანი? —ბერი რამ. ძველათ გზა-ტყევილი რომ გაიყვანეს ამ მდინარეების ნაპირზე, ინჟენერებმა ზოგიერთ ალაგას მეტათ შეაფიწროეს მდინარის კალაპოტი და მას, მთის ძლიერ შვილს, სეველი გზა შეუტყეს. მერე იყო-და მთლათ აბუჩათ აიგდეს საბრალო ჩხერიმელა, სრულიად არაფრათ ჩაადგეს მისი ძლიერება. მივიდენ, ბატონო, და მდინარის ნაპირზე ზოგან შიგ მის საეღელშიაც გაიყვანეს რკინის გზის ლიანდაგი. მის შმაგობას და გიჟობას ყური არ ათხოვეს. ასეთ დამცირობას, დაჯანბნებას, აბა, როგორ აიტანდენ ჩხერიმელა და მისი გიჟი ძმები! ამიტომაც წუწუნნი და ჩივილი, ხვეწნა და მუღარა იწყეს. რა დავიშავეთ, ან რა გემართებს თქვენი, ადამიანებო, რომ ასე გვიკრავთ გზასა და კვალს, ასე უწყლოთ გეთელავთ, ასე კაღნიერთ დაცინით

ჩვენს ძლიერებას? ხომ იცით, მთის შვილი ვართ; და თუ დღეს პატრათ გეჩვენებთ, ხვალ მსწრაფლ გავიზრდებით, სასტიკათ ავზვირთდებით და, ჩვენს საეღელ ადგილებს და კალაპოტში მოეთავსდებით კი არა, კალაპოტს იქითაც გადავშლით ფრთებს, ძლიერ ვვირთებ... და მაშინ ნახეთ თქვენს სეირს, ნახეთ რა დღე გავითენდეთ! —კაცი ხართ, ადამიანები, გირჩენიათ კარგათ დაფიქრდეთ და ამთავიდანვე ჩვენი დავითმოთ, ნუ გვეცოლებით. ხომ ხედავთ, რომ

„ამ მთის ძირიდან ამ მთის ძირამდე
„ჩვენი საგლეჯი ადგილებია,
„ადიდებული ჩვენი ზვირთების
„სასნაგდღა და საგებია“.

მოგეშორებით ღეთის გულისათვის, გზაზე ნუ გეჩხირებთ!..

ბერ ასეთ სიტყვებს ბუტბუტებდენ მდინარენი, მაგრამ კაცმა არ უსმინა. ამასაც კი დრტენიანდენ, რომ უწყალო და უზრუნველმა ადამიანმა სრულიად განადგურა ხე-ტყე და ამით მოუსპეს მათ მთაში, ტყის გრილოებში თავი შეეკავებიათ, შეეჩერებიათ. ჩხერიმელას და მის მოძმეთ—ძირულას, ყვირილას და სხვ. გული დაუოხდათ, რომ მათ ნაპირებზე მატყუარა და ქვეყნის ჰამია ჩარჩი, რომელსაც გუშინ წინ მქადათ პრასის ფოთოლიც არ ჰქონდა მისაქმელათ და ქალამნით დაიარებოდა, ახლასე გამდიდრებულა, რომ საწყალი გლეხის ნაოფლარით ორ-სართულიანი და სამ-სართულიანი ქვიტკირის სახლი და მალაზია წამოაუჭიმავეს მდინარის ნაპირზე. ესეც ხომ აბუჩათ ადგება იყო მთის ძლიერი შვილისა და მის ძლიერების არაფრათ ჩადება! ეს ვაჰბატონები სრულიად დარწმუნებული იყვენ, რომ ასე პატარა მდინარის ტალღები ვერაფერს დააკლებ-

და მათ ქონებას. ამდენი დაცინება და დამცირება თავის-ნება ადამიანისაგან ვერ აიტანა ჩხერიმელამ და მისმა მოძმეებმა, გაიხსო მათი მოთმინების ფილა, მისცეს ერთმანეთს პირი, გაეფიქრენ და მოემზადენ საბრძოლველათ. დამხმარეთ მოიწივეს ცა და ზღვის ძალა, შეძახეს და მოიხმეს სხვა თავიანთი მოძმე ნაკადულები, და 28—31 წარსულ ოქტომბერს იგრილა შეერთებულმა ძალამ და დაემგვა დღმართში მჩაგვრელების შესამუსერელათ. უნდა გენახათ 28—31 ოქტომბერს თუ რა ამბავში იყო მდინარე ჩხერიმელა—ეს მართლა მელა და კულა-მელა მდინარე და—მისი მოძმენი, სულ „ჰკა მაგას“ გაიძახოდა გამარჯვებული, გახარებული ჩხერიმელა. დამარცხდა მტერი, გამარჯვება ჩვენია!—შემოძახოდენ ქვემოდან ძირულა და ყვირილა. გარბოდა ამხედრებულნი მდინარე და თან მიარღვევდა, მიაკურებდა მტრის სახლ-კარს, გზა და ხიდს, ათას გვირ ნაჭარნახულევს.—ამის მომსწრე და მხანგველი ადამიანი გაცივრებულნი და გზა-და-კვალ დაბნეული ყვიროდა, ქვეყანას საშველათ იწვევდა, მაგრამ გვიან-და იყო: გაშმაგებულ სტიქიონს, აბა, ვინ შებრძოლებოდა? შეველა შეუძლებელი იყო. სინანული დაგვიანებულა. აღრე უნდა შევეგნო, ადამიანო, მთის შეილის გულწრფელი რჩევა. გულის წადილი შეისრულეს მდინარეებმა და 1 ნოემბერს ძლიერ-მოსილთ ნაღამი ჰქონდათ გამართული, დღესასწაულობდენ გამარჯვებას.

გახარებულნი რა რიგ მიაზრებინებდენ ქვემოთ აზვირთებულ ტალღებს! რა სიმსხო ქვეებს მიაკოტრიალებდენ, რა საშინელი ძლიერებით აჯახებდენ ერთმანეთს... ასე გვეკანებოდათ, ყუმბარებს ისერიანო! რა აღტაცებით მითამაზობდენ ტალღები იმ ადგალებში, სადაც რკინის გზის გამყვანთ შევეიწროვებიათ მათა ველელი გზა! ესეც შენს პატრონს! თუ ვაჟაკა—და კიდევ გაბედაეს ამ ადგილებში გზა გააკეთოს, სადაც მთელი ბაზარი იყო გამართული და რამოდენიმე ძვირფასი სახლი წამოჭიმული, ახლა იქ გამარჯვებულნი მდინარე მიიკლაკნება, თავის ზვირთებს მითამაზებს. ავლა-დიდება კი იმ მდიდარ ჩარჩთა, რომლებიც საწყალი გლეხების ნაოულარს ჩაღის ფასათ ხელში იგდებდენ, თავისას-კი მამასისხლათ ასალებდენ, დიღეს ქონება, რომელიც ამას წინათ აქლემებსაც კი ამძიმებდა, დღეს კატის ასაკადებელიც არ არის—სევთალოვა სტიქიონმა; ქარის მოტანილი წყალმა წიოლო, და არც გასაკვირვებელია. რკინის გზას ხომ გაუთენა შვიი დღე წყალ-დილობამ. ასეთ ამბავს, ასეთ ზარალს ჯერ არავინ მოსწრებია: ხაშურის და რიონის სადგურებს შუა გზა არულოად წაილეკა. ერთი სიტყვით, ძლიერმა სტიქიონმა ყველას გაჰკრა თავისი კლანჭი და ბევრს ასწავლა ჭკუა. მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ბევრ უკუღმართებთან ბევრი მართალიც დააღუბა.

გ. მისსულია.

ძ ვ ე ლ ი ლ მ ე რ თ ი.

(შემდეგი *)



ენი მოთხრობა ძლიერ საკულისხმოა, თქვა ნაპოლიგონმა, სწორეთ შემთხვევამ მღვდელმთავრის დაქადებათა თანხმობა მისცა.

— არა თუ შემთხვევამ, თვით-მყრობელო ხელმწიფე! როცა ყველა საუკუნის მოთხრობითი შემთხვევანი ასე ცხადთ შმოწმობენ, რომ რადგან ღმერთი ქვეყანას ზედა თავის მომავიერის დამცველ-მფარველი არის, მით არავითარი ეჭვი აღარ უნდა შეუშვათ გულში.

— ვწუხვარ, რომ თქვენს მტკიცე სარწმუნოებას ვერ ვეთანხმები, ჩემო საყვარელო გრაფო!

— ბიძა თქვენსაც ფონტენებლოსთან არ რწამდა, მაგრამ წმიდა ელენეს კუნძულში იწამა! ინებებთ, რომ მის პატიმრობის დროსაც ნათქვამი გავიმეორო თქვენ წინაშე?

— უკვდავი კენისის ყოელის თითოეულ ნათქვამზე ჩემი პატივისცემა უწყინა, უპასუხა ნაპოლიგონმა.

— დიდ სახელოვან პატიმარს ბევრჯელ გაუმეორებია ეს სიტყვა: „ნეტარ თუ შემძლებოდა ქვეყნის ყოველთ მფლობელობის მქონებელთათვის მეზარა: პატივ ეცით ქრისტეს მომავიერესა, ნუ შეაწუხებთ, ნუ ემძლავრებით მღვდელმთავარსა, თვარა შეგმულსრავსთ თქვენ პეტრეს ტახტის ღმერთი მცველ-მფარველობა.“

*) ის. „ქველი“ № 2.

— ასე ამბობდა კვისარი წმიდა ელენეს კუნძულზე, ხოლო მე, ბედნიერო ხელმწიფე, ჩემ თავს სვიანათ ვთელი, რომ იმ საეკლესიო დღეებში იმავ გონიერი ხელმწიფის სიტყვებს ვიმეორებ აქვენთან.

„შეიძლება, პატიმრობის შეწუხებამ კვისარის გონების სიმანვილე მოაუძლორა—თქვა ნაპოლიგონმა.

— ხოლო თვითან ბიძა თქვენი მაგის წინააღმდეგ ამტკიცებდა, რომ მეჭადრე უბედურებამ ჩემი მხედველობა უფრო მოღვსაო—მიუგო რეთელმა.

„მაგრამ კი მისი მსჯელობის წინააღმდეგ რომ გამოდის საქმის მსვლელობა? უთარა კვისარმა:

სად რჩება ღმერთი მცველ მფარველობის მრისხეელი მკლავი?

კვისარმა ამაზე სწორე პასუხი რომ ვერ მისცა, გრაფმა ასე წინ წაიყვანა თავის სიტყვა.

— არა თუ მართო გონიერი ბიძა თქვენი, არამედ ისევე ახალი დროის სხვა ერთი სახელოვანი ხელმწიფე ჰგონებდა, რომ ეკლესიის წინააღმდეგ ყოველი ყოველი მტერობა, მღვდელმთავრის წინააღმდეგ ნაქნარი, ყოველი უსამართლობა, საცდუროვანია მთავრობისათვის. ჩემი სიტყვა პრუსიის სახელოვანი ფრიდერიკ-მეფეზე არის, რომელსაც მრავალნი დიდათ ასახელებენ. ის მფლობელი თავის ანდერძში ასე წერს:

„თავიანთ ნებაზე დატოვეთ იესოსიანები... მოსვენებით დატოვეთ ეკლესიონი. მღვდელმთავრის საჭურველით ნუ დაქადებთ: დაეთხოვეთ, რომ მშვიდობიანათ და წყნარათ თავის სამსახური ასრულოს, თვარა მწარე დროება თავს დაგატყდებათო.

„პრუსიის მეფის ანდრეა“ ჩვენ რჯულათ არ გამოგვადგება, არ შეიძლება, უპასუხა უცბათ ნაპოლეონმა. — დაეტოვოთ ეს ძიება. — მაღლობელი ვარ თქვენი კეთალ-მნებელობის ჩვენებესათვის.

— დიდებულთა ხელმწიფე, გაუაყვებ თქვენ, ძაების სიმძიმე კარგათ იფიქრეთ, მოლაპარაკებულ პირობაზე, რომლით მღვდელმთავარი მტრის ხელთ მიეცემა, საფრანგეთი ხელ-ახლად უბედურებაში უნდა აიხრდეს! მღვდელმთავრის ფონტენებლოთ წათქვამს ჭეშმარიტებაზე გულით დარწმუნებული ვარ, რომელიც ბიძა თქვენმაც შემდგომ აღიარა. საფრანგეთმა პეტრეს ტახტის წინააღმდეგ ნაქანარის უსამართლობისათვის დიდ-დიდნი რასხენი გასწია უცხო ტომების შემოსევითა! და რადან ღმერთი უცვლელი არას, იმავე მიზეზებს უნდა ერთი და იგივე შედეგი ჰქონდეს. უკეთუ თავს დაანებებს საფრანგეთი, რომ პიო IX-ს მისი სამფლობელო ჩამოართვან, შეუწყენელათ დარჩება და იქმნება კიდევაც მოჰკლან. ეს ყველაფერი არ შეიძლება უმისოთ, თუ თქვენი დიდებულებისა ხელი შიგ არ ვაერთა... აქ დაჩუმდა გრაფი ლ სიტყვა წინ აღარ წაიყვანა! „მაშინ...“ განუმეორა კვისარმა ძალ-დატანებით, რომ სათქმელი შეასრულოს.

„მაშინ თქვა მოხუცებულმან მძიმეთ, კვალად უცხო ტომნი აკლებით და აიხრებით საფრანგეთში შემოვლენ და თქვენს დიდებულებასაც ბიძათქვენივით მოუყა!“

კვალად ნაპოლეონის თვალები ჩიმილენ და ისევე მარხარილოს ნახევარ ძეგლს დაემსგავსა!

ჩანს, რომ ქვეყნის მდგომარეობა არცით, გრაფო რეთელ-უთხრა ცივით, საფრანგეთი ევროპის უფალი და მბრძანებელი არის.

— თვითმპყრობელი ხელმწიფე, ნუ დაივიწყებთ, რომ ამ ქვეყნის მდებარეობა ცვალებადი არს, მხოლოდ ზენარი არს ჩვენი სვე-ბედის უფალი და მმართველი?

„საკმარია, როგორც ვთქვი, მაღლობელივარ.

— ოო! დიდებულთა ხელმწიფე! ისივე თქვენი წყალობის დაკარგვის განსაცდელით გიმეორებ ეგრებნას: წმიდა მამას თავის მტერებს ხელთ ნუ მისცემთ. ძველი ღმერთი ისევ ცხოველი არს. მოიხსენიეთ სახელ-განთქმული ბიძა თქვენის სიტყვა, ნუ შეაწუხებთ, ნუ მძლავრობთ მღვდელთ მთავრისა, თვარა შეგმუსრავსთ თქვენ პეტრეს ტახტის ყოვლად ძლიერი მცველ მფარველის მრისხველი მკლავი!“

კვისარი ფეხზე წამოადგა, ხელებით და თავით გამოთქმულმა უსიამოვნებამ ძალდატანებულ ჰყო გრაფი და გარეთ გამოვიდა!

„სულელთა მოხუცებულთა! თქვა მრისხანეთ ნაპოლეონმა თავის თავით, უკეთუ ჯაჭვებზე ჩაქსოვილ გარემოებათა ნება არ მისცეს ბიძაჩემს, რომ შესანიშნავი საქმენი წინ წაიყვანა, განა მეც არ უნდა წაიყვანაო წინ?“

— მღვდელთ-მთავრის დაუტურებული ტახტა განა ჩემი ანგარიშის ზიანით უნდა დაეიცვა, დავიფარო? არაოდეს. — დროება წინ მიდის, გავლილ დროებაში ყველასავე პატივსაცემლათ შერაცხილი საგანიც ობღება, ფუჭდება და მიდის! არავინ არს მისთანა ხელოვანი, რომ სიკვდილზე მიწვენილი როაგრმე გააცოცხლოს!“

ოცთა რამ ხანსაც დაფიქრებული დარჩა და კვალად კალამი აიღო და იწყო ისევ წერა.

IV.

ნაპოლეონ III დამარცხებული და ტყვე.

ხუთ წელს შემდეგ რეფელ გრაფი თავის ტიღ-მორ მეგობრით პიოლის ციხეში იყო: არა დაშორებით სედანიდან ნაპოლეონს გერმანიელებისთვის ჩხუბი გაეცხადებია.

ფრანგების უდიდეს ნაწილთ შექველათ ეკონათ თავიანთ ჯარის გამარჯვება, რეთელ გრაფი შევიწროებული სულითა თავს იქნედა!

— არ შეიძლება გამარჯვება, შეუძლებელია, ამბობდა დიდი მწუხარებით. საფრანგეთი და მისი კვისარი დიდ ბოროტ-მოქმედებაში ჩაცენიულ არიან, ყოველი ბოროტ-მოქმედების შურის-მძიებელი ისევე ცხოველი არს!

— მე თქვენსას ვერაფერს მიმხედარვარ, იოსებ მეგობარო! ეუბნებოდა ტიღმორი. ჩხუბის მცოდნე პირნი შეიარაღებულნი საომარ ეფლზე მიისწრაფიან, ელიან, რომ რამდენსამე კვირას შემდგომ რენის მდინარეს გავლიან ლ გამარჯვებულნი ბერლინზე წაივლენ, თქვენ კი საკვირველი კაცო უბედურებას და დამარცხებას წინასწარ მეტყველებთ?

— მე ჩემი მიზეზნი მაქვს, ჩემო საყვარელო ბერნარდ! ნაპოლეონი იმ ყოველ მფლობელთ მწვედრის მონაწილე უნდა იქმნას, რომელითაც ქვეყანაზე ქრისტეს მომავლიერ შეაწუხეს, დევნეს და გაცარცვის.

— შე ისევ ფონტენებლოთ პიო VII. და ნაპოლეონს-შუა ყოფილს საუბარს უბრუნდებით, რომ იმ დროის სასახლის მცველზე ღრმა გავლენა ჰქონია. დაიძახა მხიარულათ ტიღმორმა. ვერ უნდა ვჰყოფ, რომ ღმერთის ნაპოლეონ პირველის სამეფო კვერთხი არ დაელოწოს, მით რომ მღვდელმთავრს დატყვევებულათ ინახავდა და ეკლესია მთავრობის ხელსაწყოებათ უნდოდა გადაეცია. მაგრამ განა შესაძლებელია, რომ ისივე შემთხვევა ხელ-ახლად გამოვრდეს? მეტათ მოშიში და ეჭვნიული ხართ!

„ძველი ღმერთი ცხოველი არის“ განუმეორა მძიმეთ გრაფმა. — რაოდნათაც მართალი არს, რომ ზენარი უცვლელი არის თავის არსებაში, რაოდნათაც მართალი არს, რომ ღმერთი პეტრეს ტახტს ზე გარდმო-მცველ მჟარაველი არის, იმოდნათაც ნამდვილი არის, რომ მისმა მკლავმა უნდა შემუსროს იმავე წმიდა ტახტის მზაკვარი მტერი და მდევნილი!

— თუ აგრე არის, რისხეთითი სამართალი პირველათ იტალიისა და მისი მეფისაგან უნდა დაიწყოს.

— არა, არა, მეგობარო! მართალია იტალია უბედურათ უნდა დავცეს, თავის მეფესთან ერთათ უნდა იგემოს, რაც დაუთესია. გარნა ვიკტორ ემანუელი არ არის იტალიის მცველი-შემოცვლისა და პეტრეს საკუთრების წარმტაცველი მამა, არამედ ნაპოლეონ III კვისარი.

მღვდ. გვარამია.

(დასასრული იქნება)

ჰედაქტორ-გამომცემელი ან. თ.-წერეთლის.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებისანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

გამოვა 1896 წელს ყოველ გვირაში ერთხელ ერთიდან სამ თაბასამდე

რედაქცია ყოველ დონისძებას ხმარობს გაუმჯობესოს შინაარსი და სახე გავითისა, ამ განზრახვით ან დაიბარა ახლაც პეტერბურგიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

გაზეთი წლიურათ ღირს გაუგზავნელათ 7 მანეთათ, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელათ 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელათ 2 მანეთ., გაგზავნით 2 მ. 50 კა. თითო ნომერი აბაზათ. ხელის მომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში არწრუნისეულ ქარვასლაში: „ქართულ სახალხო სამკითხველოში“, „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ და თვით „კვალის“ და „ჯეჯილის“ რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, воиѣнъ кадетскаго корпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: ეარლამ ქილაძის, ე. ბეჟანეიშვილის, ძმთ წერეთლების, ხეთურლის წიგნის მალაზიებში და ბ-ნ ლალიძესთან ზელტერის წყლის ქარხანაში. — ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავლიონში გერ. კალანდაძესთან. — ფოთში: მიხეილ თურქიას. — მისილფავაში (ხაშურში): იოსებ ფანცულაიას. — თიანეთში: ივ. ჩიბალაშვილს. — გორში: არსენ კალანდაძეს — ჭიათურაში: თედორე კიკვაძეს; ყუბინლაში: ბ-ნ არაბიძის წიგნის მალაზიაში — სასლენჯავში ზ. ოსტრუკოვში: კ. თავართქილაძეს. — სანსერგში: ყარამ. ჩხეიძეს. — თეგავაში: მიხეილ ცისკარაშვილს.

1896 წლის ხელის მომწერლებს „კვალისას“ დაურეიდებათ ჰრეშიათ ახალი რომანი გიორგი წერეთლისა, სასეუბათ

რომანი შედგება სამი ნაწილისაგან.

„გულქან“

ქალაქის საბჭოს ექიმების ადგილ-სადგომი თფილისის სხვა-და-სხვა ნაწილში.

ივანე როსტომაშვილის გამოცემა

1896 წელს.

- I და II ნაწ. გ. მ. ანწრუნი, გოლოვ. პროსპ., ალა-მინაცის სახ. № 28.
- III, IV და V ნაწ. გ. ბ. უსუმაჯი, მიხეილ. ქუჩ. სახლი პირასი № 118.
- VI ნაწილ. გ. ა. მინაქოვა, (დროებით) ჰეიდენის ქუჩა, საკუთ. სახ. № 21.
- VII ნაწილ. გ. ბ. გულელაიანი, კახეთის ქუჩა, ტერ-ტეროვის სახ. № 26, სამკურნალოს სადგომი.
- VIII და IX ნაწ. გ. ა. თანხნიშვილი, ელისაბედის ქუჩ., სახლი № 70.
- X ნაწილ. გ. ა. გელაიანი, მიხეილის და კოჩუბის ქუჩის კუთხე, ულანცევის სახ., № 2.

1896 წლის განმავლობაში გამოვა 18 ახალი ქართული წიგნი და 1 ალბომი — „მართავლთა ტომანი“ (Грузинскія племена) ასზე მეტი სურათით და მოკლე აღწერით.

პირველი ორი წიგნი — „მთავრის შვილი“ 12 სურათით და „მრგვა, სიპილრა და ფულაბი“ ალამ სმიტის სურათით, გამოვიდა ამ წლის საშობათ.

ფასი მთელის გამოცემისა: წლით — 4 მანეთი, ნახევარი წლით — 2 მანეთი. ალბომი გაგზავნება მხოლოდ წლიურ ხელის-მომწერლებს.

ფული უნდა გამოგზავნოს: Тифлисъ. Давид. ул. № 6, Ивану Павловичу Ростовову.

ექიმი დეზინფექტორი ი. ა. რაზმატი, სოლოლაკის ქუჩა, სუმბათაშვილის სახლი, № 1.